# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 257 ოთხშაბათი, 18 ნოემბერი 1909 წ. № 257

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე; მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვ სა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ინახება ერთის თვით მხოლოდ ... თხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



**სოფიო მიხეილის ასული სულხანიშვილისა, პელაგია მიხეილის ასული და მიხეილ პეტრეს ძე სარაჯიშვილი, ნინო მიხეილის ასული და ივანე ნიკოლოზის ძე მაჭავარიანი, კნ. ქეთევან მიხეილის ასული და კონსტანტინე ივანეს ძე ვაჩნაძე, ოლღა მიხეილის ასული და გიორგი ივანეს ძე ფადალაძე, თამარ მიხეილის ასული და ანდრია გიორგის ძე ბებურიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარ დედის და სიდედრის

## ეკატერინე გრიგოლის ასულის სულხანიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 ს. (ელისაბედის ქ. № 23), დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (3—3)

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 15 ნოემბერს 3 საათზე დღისით გარდაიცვალა

## ნატალია ვახტანგის ასული კნეინა ამირეჯიბისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, შვილი მისი **თ. როსებ თადეოზის ძე ამირეჯიბი** თვისი მეუღლით კნეინა **სალომე გიორგის ასულით**, და შვილის შვილები მიცვალებულის: **თ. გიორგი და ქაიხოსრო ამირეჯიბი და თამარა როსების ასული ყანჩელისა**. პანაშვიდი ყოველ დღე 7 საათზე. გამოსვენება ოთხშაბათს 18 ნოემბერს, დილის 10 საათზე, საკუთარ ბინიდგან, მოსკოვის ქუჩაზე № 13, ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა ამავე ეკლესიის გალავანში. (2—6.—2)

**ოლღა საჩინოს ასული** შვილებითურთ, **ნატალია და სოფიო ილიას ასულნი გაბაშვილისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

## ვასილ ილარიონის ძის გაბაშვილის

სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქნება დღეს, 18-ს ამ თვეს დილის 9 საათზედ, ვერის წმ. ნიკოლოზის სას ფლაოს ეკლესიის ნაცვლად ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2—548—2)

**ივანე პლატონის ძე თოფურიძე** შვილებითურთ და ბავშვების ნათლია **ივანე ანტონის ძე ქავთარაძე** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ მეუღლის, მეორე—ნათლულთა დედის

## ელისაბედ თოფურიძისას.

გამოსვენება პარასკევს, 20 ნოემბერს, ბალბხვანის ქ., სახლი პაპინოვისა, ქუთაისში. ნაშუადღევის 3 საათზე. (1—კვ.—1)

**წარმოდგენა № 16.** **ქართული თეატრი** **წარმოდგენა № 16.**

ხუთშაბას, 19 ნოემბერს, 1909 წ ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად განახლების შემდეგ ალ. სუმბათაშვილის პიესა

## ბორკილი

დრამა 4 მოქმ. თარგ. ახნაზაროვისა.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

## კახელ მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“

ამით აუწყებს, რომ მოუსავლობის და ღვინის ძვირობისა გამო ღვინო გაიყიდება:

№ 1—25 კაპ., № 2—30 კაპ., № 3—40 კ. ბოთლი.

მუდმივ მუშტრისათვის არის აბაზიანი ღვინო, მხოლოდ ეს ღვინო არავის არ მიეცემა ფასის დაკლებით. (3—ნ.—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიის ქუჩ., სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ღამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყოველ დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ დღე. 9—11 ს.
**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლე ი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—ნ.—41)

**ექიმი** ქ. ს. **ფონ-ირტელი**
არჩენს ხშვე. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. მედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მოვლ., მონუმენტის მახ. N 5, ს. მაგრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ნალ.—49)

**ექიმი** **ლ. ნ. ოჯანჯანოვი**
ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე). (100—ნალ.—63)

**ექიმი** კბილისა **რომანიშვილი-დგებუაძისა**
იღებს ავადმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ახალი ბინა: აკჰალის ქუჩა, N 34. (25—ნ.—1)

**ექიმი** **ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—55)

**ექიმი** **ვასილ წერეთელი**
**ქუთაისში**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—51)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—298

**ქუთაისში**
კბილის ექიმის დ. ხ. რიჟინაშვილის კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სნენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრ. დ. ნიჩრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—46)

**კაბინეტი** **ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი** **მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—ნ.—109)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.
**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—208)


# ახალი ამბავი

✦ **სახალხო უნივერსიტეტი და სექცია.** 16 ნოემბერს მოხდა ჩვეულებრივი სხდომა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა. გამგეობამ, სხვათა შორის, თათბირი იქონია მომავალი სახალხო წარმოდგენის გამართვის შესახებ. გამგეობამ დაადგინა აცნობოს ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, რომ უნივერსიტეტის სახალხო სექცია შაბათს გამართავს წარმოდგენას. წარმოსადგენად დანიშნულია ა. ცაგარლის დრამა „ციმბირელი“. გამგეობამ დაადგინა აგრეთვე, რომ 19 ნოემბერს საღამოთი შესდგეს სხდომა სექციის წევრებისა სხვა და სხვა საკითხების განსახილველად. საკითხი აღიძრა სექციის ინვენტარის შესახებაც. გამგეობამ დაადგინა, ეთხოვოს სექციის თავმჯდომარეს ქ-ნ მ. დემურიას წარუდგინოს ანგარიში სექციას 19 ნოემბრის სხდომაზე და აგრეთვე სექციას ჩააბაროს ინვენტარი.

✦ **მეურნეთა კრება.** მეურნეთა კრების მეღვინე-მევენახეობის სექციამ თავ. ივ. ზ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით განიხილა ორი საყურადღებო მოხსენება—ა. ეგოროვისა და ვ. მჭედლიშვილისა. ბ-ნი ეგოროვი თავის მოხსენებაში ამტკიცებდა, რომ დროა კახეთის მეღვინე მევენახეებმა თავი დაანებონ ეხლანდელ სისტემას ვენახის მოვლა მოშენებისა და ღვინის დაყენებისას და გადავიდნენ ევროპიულ სისტემაზედ. ბ-ნი მჭედლიშვილი ამტკიცებდა, რომ ეხლანდელი წესი ღვინის დაყენებისა საუკუნოებით აქვთ მევენახეებს შეთვისებული და თუ ევროპიული სისტემა უკეთესია, გადასვლა ამ სისტემაზე უნდა მოხდეს თან და თან და ჩვენის ცხოვრების პირობებთან შეთანხმებით. ამ მოხსენებებმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია სექციის წევრთა შორის. სექციამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „სექციამ მიიღო სახეში ის გარემოება, რომ კახეთში არსებული საშუალება ღვინის დაყენებისა დამოკიდებულია ეკონომიურ პირობებსა და ადგილობრივ ბაზრის მოთხოვნილებაზე და ამიტომ იგი სასურველად არა სცნობს კახეთის ღვინის დაყენების ტეხნიკის ერთბაშად შეცვლას; საჭიროდ მიაჩნია თან და თანობით იქმნას შეცვლილი ეხლანდელი სისტემა ღვინის დაყენებისა. ახალი სისტემა უნდა იქნას დაფუძნებული მეცნიერულად გამოცდილ გამოკვლევაზე ახალ ბაზრების მოთხოვნილებასთან შეთანხმებით. ამიტომ საჭიროა დაარსდეს კახეთისთვის საცდელი დაწესებულება—მეღვინე-მევენახეობის საღგური, რომელიც გახდება ცენტრად მეცნიერულ გამოკვლევისა“. სექციამ ამავე დღეს განიხილა მოხსენებანი პილენკოსი და სხვათა, დღეს, დილის 11 საათისთვის, დანიშნულია წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა და კოოპერაციების შესახებ სექციის სხდომა.

✦ **სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოგზაურობა.** „კავკაზ“-ში ვკითხულობთ: 15 ნოემბერს ქუთაისის გუბერნიიდან ტფილისში დაბრუნდა კავკ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ნ. რუდოლფი. ქუთაისის, ხონის, ახალ-სენაკისა, ზუგდიდისა, ოზურგეთისა და ყვირილის გარდა მზრუნველი იყო ქუთაისის გუბერნიის 15 დაბასა და სოფელში, სადაც, სასწავლებლის რევიზიების გარდა, მოლაპარაკება ჰქონდა მცხოვრებთა წარმომადგენლებთან ახალ სკოლების დაარსებისა და სასოფლო სამეურნეო და სახელოსნო განყოფილებათა მოწყობის შესახებ. დაბრუნებისას მზრუნველმა გორის სასწავლებლებიც დაათვალიერა.

✦ **სომეხთა ლიტერატურულ-მხატვრული კლუბი.** სომხები ტფილისში აარსებენ თურმე ლიტერატურულ-მხატვრულ კლუბს. უკვე შეიმუშავებით წესდება. კლუბს აზრად ექნება დაეხმაროს სომხურ თეატრს.

✦ **წვრილი კრედიტი.** სოფლად ყველგან დღეს დიდ საჭიროებას წარმოადგენს წვრილ საკრედიტო დაწესებულების დაარსება. ბევრგან ასეთი დაწესებულება ვერ დაუარსებიათ იმიტომ, რომ არ არიან საქმის მცოდნენი, ინიციატორები. ბ-ნმა ეგ. ხრამელაშვილმა მოხსენება წარუდგინა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობას, ითაოს, რომ მოაწყოს სისტემატიური კურსები წვრილ კრედიტის შესახებ.

✦ **წიგნები სამკითხველოს.** ტფ. ქალაქის გამგეობამ სთხოვა წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას გაუგზავნოს თავისი გამოცემანი ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის სამკითხველოს. ამას და სხვა საქმეებს გამგეობა განიხილავს დღეს, 18 ნოემბერს.

✦ **ძვირფას ნივთის გატაცება.** ბაქოში 17 ნოემბერს რამდენიმე შეიარაღებული კაცი, რევოლვერებით ხელში, შევარდა შიბაევის ნავთის ქარხანაში, შეჰკრა დარაჯი და მემანქანის თანაშემწე და გაიტაცა თეთრი ოქროს ბადია, ცამეტ ათას მანეთად ღირებული.

✦ **ქალთა წრე.** ქართველ ქალთა წრის გამგეობამ სთხოვა წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობას, გამოარკვიოს, რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქალთა წრის შორის.

✦ **ქალთა საზოგად. სხდომა.** დღეს, 18 ნოემბრისთვის დანიშნულია კავკასიის ქალთა საზოგადოების კრება. განსახილველია ათამდე საკითხი.

✦ **ჭიათურის რკინის გზა.** როგორც გავიგეთ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავრობას აზრადა აქვს ჭიათურის რკინის გზის შტოზე შესცვალოს სახალხო მატარებლების მიმოსვლა. დღეს შორაპანში ტფილისიდან დილის 8 საათზე მისულ მგზავრს ათი საათი უხდება ცდა ჭიათურისკენ გასამგზავრებლად.

✦ **ანგარიში.** გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ანგარიში 27 ოქტომბერს გამართულ ილია ჭავჭავაძის საღამოს შემოსავალ-გასავლისა: შემოსავალი ბილეთებისა—769 მ. 49 კ., ყვავილების და კონფეტების—43 მ., პროგრამებისა—13 მ. 50 კ., და მკითხავის—70 კ., სულ—826 მ. 69 კ. ხარჯი: ივ. სარაჯიშვილს—100 მ., გრ. რობაქიძეს—100 მ., თეატრის ადმინისტრაციას—125 მ., პიანინო—15 მ., მანდოლინა—5 მ., ტანისამოსი—8 მ., აკომპანიატორს—10 მ., საზანდარს—15 მ., პარიკმახერს—12 მ., განცხადებაში „Закавказье“-ს—8 მ., კაპელდინერებს—10 მ., პროგრამების, აფიშების დაბეჭდა და გაკვრა—13 მ. 85 კ., ხალიჩების ქირა—4 მ., მუშებს და მსახურთ—7 მ. 50 კ. და წვრილმანი—6 მ. 35 კ. სულ 439 მ. 70 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 386 მ. 99 კ. საღამოს გამგენი დიდს მადლობას უცხადებენ ყველა მათ, ვინც კეთილ ინებეს და საღამოს მოწყობაში უანგარო მონაწილეობა მიიღეს, ქართულ გაზეთებს განცხადების უფასოდ დაბეჭდვისთვის და ყვავილების, და კონფეტების შემოწირვისათვის: „ლოლლიი-დორს“, ე. ბარაბაშეს, ბ. მეცლერს, გ. საგათელოვს, პ. ლომიძეს, კ. საკაიანცს და ბ. ჰელიძეს“.

✦ **ჯეჯილი.** მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ მე-10 ნომერი. ამ ნომერში მოთავსებულია ნაწარმოებნი ან. წერეთლისა, ტატოსი, ქუჩიშვილისა, ზომლეთელისა, ალექსი ჭიჭინაძისა, ელ. წერეთლისა, ალ—ასი და სხვათა.

✦ **ნავთის ჭალა.** როგორც ვიცით, ტერ-მარკოზოვმა ქალაქის თვით-მართველობისაგან აიღო ნავთის საექსპლოატაციოდ ნავთლუღში ეგრედ წოდებული ნავთის ჭალა. ტერ-მარკოზოვს ხელ-შეკრულებით ჭალა უნდა გაეთხარა 150 საჟენის სიღრმეზე. მოიჯარადრემ 60 საჟენამდე გათხარა მიწა და მუშაობას თავი მიანება. ქალაქის გამგეობამ, თანახმად ხელ-შეკრულებისა, ქალაქის საკუთრებად ჩასთვალა ის 3000 მან:, რომელიც ქალაქის კასაში გირაოდ იყო შეტანილი და აგრეთვე ყველა ის მასალა, რომელიც მიწის გასაბურღავად არის მოწყობილი ნავთის ჭალაში. გამგეობამ დაადგინა, დანიშნოს საზოგადო ვაჭრობა და ნავთის ჭალაში მუშაობის გაგრძელების მსურველნი გამოიწვიოს.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ორშაბათს, 16 ნოემბერს, მოხდა სხდომა ტფ. ქალაქის საბჭოსი. საყურადღებო არაფერი იყო, 50 ხმოსნამდე მაინც გამოცხადდა, რაც იშვიათია საბჭოს ცხოვრებაში. მიზეზი ამოდენი ხმოსნის დასწრებისა იყო ის, რომ ამ დღეს უნდა აერჩიათ ქალაქის მდივანი. რამდენიმე წვრილმან საქმის განხილვის შემდეგ საბჭომ შეუდგა მდივნის არჩევას. მდივანს ჯამაგირად ისევ 2000 მან. დაუნიშნეს. კანდიდატებად დაასახელეს ს. ეიბანოვი, იოანესიანი, ს. ა. დანდუროვი და მ. ა. ჯაბარი. ყური დაიგდო უკანასკნელმა, ხოლო პირველთ უარი განაცხადეს. რადგანაც ისინი თითო ოროლა ხმით იქმნენ დასახელებულნი. საბჭომ 40 ხმით 8 ხმის წინააღმდეგ მდივნად აირჩია ისევ მ. ა. ჯაბარი, ორის წლის ვადით. ვიდრე არჩევამდე ხმოსნებმა არაქელიანცმა და შახბუდაგოვმა წინადადება შეიტანეს, არჩევანი გადავდოთ რომ კარგად მოვიფიქროთ. გვისაყვედურებენ, რომ ჩვენ მუდამ შემთხვევით ხასიათს ვაძლევთ იმ სხდომებს, რომლებზედაც ასეთი სერიოზული საქმეები უნდა გადასწყდესო. ხმ. შახბუდაგოვი კრიტიკულადაც შეეხო ჯაბარის მოქმედებას—ოქმებს რიგიანად ვერ ადგენსო, — მაგრამ თავმჯდომარემ სიტყვა ჩამოართვა. დანარჩენ 16 საქმიდან არც ერთი ღირს შესანიშნავი საბჭოს არ განუხილავს. დაასახელეს საფინანსო კომისიაში 9 კანდიდატი და დაადგინეს ქალაქის 1910 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის განხილვას ორშაბათს, 23 ნოემბერს, შეუდგნენ. ხმოსნებმა მოითხოვეს, დროზე გამოგვიგზავნეთ დაბეჭდილი აღრიცხვაო რომ მომზადებულნი მოვიდეთო.

✦ **მიწის ძვრა.** ანაპაში 10 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე მიწა იძრა თურმე. ბევრგან სახლის კედლები დასკდარა.

✦ 16 ნოემბერს ტფილისში მოხდა შემდეგი ამბები. ჩხრეკის დროს პოლიციის მე-10 უბანში დააპატიმრეს 15 უპასპორტო კაცი, პოლიციის მე-7, მე-10 და მე-5 ნაწილში დააპატიმრეს არამ მელიქ გაიკაზოვი, სტეფანე მავნიევი და არამაკ პოღოსოვი, რომელნიც საგენერალ გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავიანთ ნებით დაბრუნებულან. ოქოევის ქუჩაზე მცხოვრებმა ანნა ხრუსტალევმა პოლიციაში განაცხადა: ჩემთან მოვიდა ჩემი საყვარელი ისაკ პრილუცკი, რომელმაც გოგირდის სიმჟავე გადაასხა ჩემ ნივთებს და 300 მანეთია ზარალი მომაყენაო. ბრალდებული დააპატიმრეს ვაჭარმა სამსონ ქაბულიამ პოლიციას განუცხადა, საწყობიდან ქურდებმა 100 მანეთის ხილი გაიტანესო. ეჭვით დააპატიმრეს მაჰმედ-ყურბან-ოღლი და ალიბუფატ-გუსეინ-ოღლი, ოქრო მჭედლები. 16 ნოემბერს ღამე ვაგზლის ქუჩაზე დააპატიმრეს ორი თათარი, რომელთაც მიჰქონდათ ჩემოდანი, ნივთებით სავსე. როგორც აღმოჩნდა, ნივთებიანი ჩემოდანი თედორე ბოროვსკისაგან. ქურდები პასუხის გებაში მისცეს. ანნა კირიუშკინას, როსკიპს, ხაბაროვის საროსკიპო სახლში 16 ნოემბერს ღვინის ვაჭრის კაზახოლისაგან მოუტაცნია 550 მან. კირიუშკინა დააპატიმრეს. ქალს გაჩხრეკის დროს ფული არ აღმოაჩნდა. სურფკარაპეტის აღმართზე მუღანლოს მცხოვრები ბაგრამ თურქი-ოღლი გააჩერეს მძარცველებმა და წაართვეს საათი მძარცველები მიხაკ მუკასოვი და მიხეილ ავდიშვილი პოლიციამ დააპატიმრა. 16 ნოემბერს კრუზენშტერნის ქუჩაზე მეპურე გომიძესთან მივიდა 60 წლის მოხუცი ნიკოლოზ დიდვაძე. მუსაიფის დროს დიდვაძე უეცრად წაიქცა და გადაიცვალა. მუშტაიდის ბაღთან დილის 7 საათზე ნახეს გვამი ტფ. მოქალ ქის ალექსანდრე ნაზარიანცისა. გარდაცვალებულის გვამს მოკვლის ნიშნები არ ეტყობა.

# ტფილისი, 18 ნოემბერი

ამ რამდენიმე დღის წინად ფინლიანდიის სეიმი დათხოვნილ იქმნა. მკითხველს ეხსომება, რომ ამ სეიმსა და საიმპერიო მთავრობის შორის შეტაკება მოხდა სამხედრო ბეგრის ნიადაგზე. ფინლიანდიას ავალებდნენ 30 მილიონ მარკის გადახდას ნაცვლად სამხედრო ბეგრის მოვალეობის აღსრულებისა. თანახმად ფინლიანდიის კანონებისა, ეს საგანი უნდა განეხილა სეიმს და სეიმის თანხმობა იყო საჭირო საკითხის გადაწყვეტისთვის. მაგრამ მთავრობამ სხვანაირად შეჰხედა საქმეს. მანიფესტი გამოსცა სენატისადმი და ამ მანიფესტით ავალებდა ფინლიანდიას მთავრობის მოთხოვნა დაუყოვნებლივ აღესრულებინა. ფინლიანდიის სეიმის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქმნა ეს საგანი და სეიმმა უარ-ჰყო მთავრობის მოთხოვნა, რადგან ამ მოთხოვნას უკანონო ხასიათი აქვსო. ამას მოჰყვა სეიმის დათხოვნა. დათხოვნის დროს საკონსტიტუციო წეს-რიგი მთავრობას არ დაურღვევია. დაითხოვეს სეიმი ახალ არჩევნების მოსახდენად და საგაისოდ იგი ხელმეორედ გაიხსნება. მაგრამ ეს გარემოება სრულიად არ ამცირებს იმ საფრთხეს, რომელიც მოელის ფინლიანდიის ავტონომიას.

სამხედრო ბეგრის ინციდენტი პატარა რგოლია იმ დიდ ჯაჭვისა, რომლითაც ჰსურთ ავტონომიის შებოჭვა ფინლიანდიაში. საიმპერიო მთავრობა ავტონომიას არ იწყნარებს. ავტონომია სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა. მას აქვს თავისი წარმომადგენლობითი დაწესებულება. საიმპერიო კანონს არ ძალ-უძს კანონის გამოცემა ამ დაწესებულების დაუკითხავად. და რაკი ეს ასეა, თვით ავტონომიის პრინციპის დარღვევა სწადიათ. მთავრობის წარმომადგენელნი ამტკიცებენ, ფინლიანდია ავტონომიური სახელმწიფო კი არ არის, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობაა. ამ ადგილობრივ თვითმმართველობის კანონმდებლობის კომპეტენციაში შედიან ვიწროდ შემოფარგლული ადგილობრივი ინტერესები. რაიც შეეხება სახელმწიფოებრივ ხასიათის ინტერესებს, აქ ფინლიანდიის სეიმს არავითარი ძალა არ უნდა ჰქონდესო.

ამ საგნის გამოსარკვევად მოწვეული იყო რუს-ფინთა კომისია. კომისიის მუშაობიდან გამოირკვა, რომ რუს-წარმომადგენლების აზრი ძირიანად ეწინააღმდეგება ფინთა-წარმომადგენლების აზრს და რომ მათი შეთანხმება შეუძლებელია. რუს-წარმომადგენელთა აზრი საიმპერიო ხასიათის წესრიგით უნდა სწყდებოდეს შემდეგი საკითხები: ფინლიანდიის მონაწილეობა საიმპერიო ხარჯთ-აღრიცხვაში, სამხედრო ბეგარა, რუს-ქვეშევრდომთა უფლებანი, სახელმწიფო ენის ხმარება, სახელმწიფო წესის დაცვა, გემების აშენება, სასამართლოს წარმოება (судо-производство) სწავლა-განათლების საქმე, კომპანიები, საზოგადოებანი და კავშირები, დაზღვევა, ფული, ფოსტა და რკინის გზა და სხვა. საიმპერიო კანონების გამოქვეყნება და მათი აღსრულება ევალება სენატს. ადგილობრივი კანონები, რომელნიც არ ეგუებიან ზემოდასახელებულ საიმპერიო კანონებს, უნდა იქმნენ გაუქმებულნიო. ასეთია რუს-წარმომადგენელთა აზრი.

სანამ ამ აზრს შეიმუშავებდნენ და გამოაქვეყნებდნენ, როგორც ვთქვით, მთავრობამ სეიმი დაითხოვა. ასე რომ აშკარაა რუს-წარმომადგენელთა აზრი სრულიად ეთანხმება მთავრობის აზრსაც და ფინლიანდიის ავტონომიის საქმე მართლაც-და დიდ განსაცდელშია. თუ დაკანონდა რუს-წარმომადგენელთა აზრი, თვითმმართველობას ნიადაგი გამოეცლება, რადგან მის კომპეტენციის ფარგალში დარჩება დაახლოვებით ის, რასაც იმეტებენ ქართველი — სოციალ-დემოკრატები მომავალ საქართველოს თვით-მმართველობისათვის.

ფინლიანდიელები დინჯი და გამოცდილი მებრძოლნი არიან. სიდინჯე და გამოცდილება უკარნახებთ მათ ბრძოლის უტყუარ საშუალებას, — იმისთანას, რომელიც მათ ღონეს არ აღემატება და საკონსტიტუციო რეჟიმსაც გარემოების დამიხედვით დაიცავს. რაიც შეეხება მთავრობას, მას მძიმე საქმე უკისრია და თუნდაც რომ გამარჯვება დარჩეს მას დღეს პატარა ფინლიანდიასთან ბრძოლის დროს, ეჭვს გარეშეა, რომ „განკითხვის ჟამს" მისი ეხლანდელი შეცოდებანი უფრო დაამძიმებენ მისს დანაშაულობას ხალხის თვალში.

# სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**პიროვნების ხელუხლებლობა.**

მთელი მეჩვრამეტე სხდომა, 16 ნოემბერს, სათათბირომ პიროვნების ხელუხლებლობის კანონ-პროექტს მოანდომა. ამ დღეს ოპოზიციამ უფრო ნათლად გამოარკვია, რომ მთავრობის მიერ შემუშავებული და კომისიის მიერ შესწორებული კანონ-პროექტი არავითარ თავისუფლებას პიროვნებისას არ შეიცავს. ოპოზიცია ერთხმად არის ამხედრებული ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგ. მშვიდობიან პროგრესისტების ორატორმაც კი განაცხადა: ეს პროექტი პიროვნების ხელ-უხლებლობას კი არა, ადმინისტრაციის თვითნებობის ხელუხლებლობას იცავსო. წინააღმდეგნი არიან პროექტისა მაჰმადიანთა და პოლონელთა წარმომადგენლნი. პოლონელებმა დიმშამ და პარჩევსკიმ მაგალითები მოიყვანეს იმისა, თუ ადმინისტრაციის მიერ როგორც ფეხ-ქვეშ არის გათელილი პიროვნება პოლონეთში.

ილაპარაკეს კადეტებმა და სოც.-დემოკრატებმაც.

მემარჯვენენი და ნაციონალისტები თავისას გაიძახოდნენ — პიროვნების სრული თავისუფლება მემარცხენეებს იმიტომ უნდათ, რომ პროპაგანდა გასწიონ და სხვა ამ გვარი საქმეები ჩაიდინონო. პურიშკევიჩმა თავისებურად ილაზღანდარავა. მაგრამ ამ დღეს ტიმოშკინმა აჯობა — რაც შეიძლებოდა „მაგრა" ლანძღა მემარცხენენი.

ოქტომბრისტები ჯერ სდუმან.

**შეკითხვა.**

სხდომის დასასრულ სოც.-დემოკრატებმა შეკითხვა შეიტანეს. იაროსლავის საპყრობილეში მოდარაჯე სოლდათს თოფით მოუკლავს გლეხი ქალის ბავშვი. შეკითხვა იუსტიციის მინისტრის სახელზეა შეტანილი. იგი კომისიას გადასცეს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 ნოემბერი.

## სპარსეთი

**თეირანი**. შირაზში ხალხი თავს დაეცა გუბერნატორის სასახლეს. გუბერნატორი იძულებული გახდა მიმალულიყო. თავდაცემა გამოწვეულია იმით, რომ წინა ღამეს დარაჯებმა მოჰკლეს ერთი კაცი, რომელსაც „პაროლი" არა სცოდნოდა.

**თავრიზი**. რამდენიმე დღის წინად გენერალ-გუბერნატორმა სამასი ცხენოსანი ჯარი გაგზავნა რახიმ-ხანის წინააღმდეგ. ამ რაზმის გადარჩენილი ნაწილი მოიქრა დღეს თავრიზში. ყარადაღელი ცხენოსნები მისდევდნენ ამ რაზმს, მხოლოდ თავრიზიდან ათი ვერსის მანძილზე მიანებეს თავი დევნას.

## ოსმალეთი

**სტამბოლი**. სპარსეთის საზღვრებიდან ცნობები მოვიდა, რომ ქურთებსა და ოსმალეთის ჯარს შორის დიდი შეტაკება მომხდარა. ბევრი ქურთია მოკლული, ამათ შორის მოკლულია ორი მთავარი წინამძღოლი. ოსმალებს მოუკლეს დაუჭრეს 60 კაცი.

**სტამბოლი**. დეპუტატთა პალატაში წინადადება შეიტანეს შეეკითხონ ფინანსთა მინისტრს, რა მიზეზია, რომ მაგარ სასმელებით ვაჭრობის შესახებ გამოცემული კანონი ძალაში არ არის შესული. მიიღეს შეკითხვა, ნება მიეცეს ინგლისელ ლინჩის კომპანიას გემები ატაროს ტიგრსა და ეფრატზე.

## საზღვარ-გარეთ

**პარიზი**. გამოირკვა, რომ სენის დეპარტამენტის სამხედრო ჯარების უფროსმა გენერალმა ვერომ ორი ჰრილობა მიიღო, სუბუქი შუბლში და უფრო მძიმე — საქოჩრეში. ჰრილობა საშიში არ არის.

## ფინლიანდია

**პეტერბურგი**. უმაღლესად ებრძანა ფინლიანდიის სენატს ფინლიანდიის მთავარ სამხედრო სასამართლოს გასაუქმებლად შეადგინოს პროექტი ამ სასამართლოს გაუქმების შესახებ და ამასთან შეადგინოს ადმინისტრატიული კანონის პროექტი იმაზე, თუ რომელ სასამართლოს უნდა დაექვემდებაროს ფინლიანდიის ლოცმანების მეკანდლეთა უწყება. ამასთან ეს პროექტი უნდა შესდგეს იმ აუცილებლობის გამო, რომელიც გამოწვეულია მთავარ სამხედრო სასამართლოს მოქმედების გაუქმებით.

ფინლიანდიის გენერალ გუბერნატორის თანაშემწე გენერალ მაიორი ზეინი დაინიშნა ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორად. ამასთან ზეინს ებოძა გენერალ-ლეიტენანტობა.

## ჰაერში ფრენა.

**ვენა**. გაზეთები ატყობინებენ ეგებებიან პირველ სამხედრო ჰაერში მფრენავ „პარსევალის" გაფრენას. ოფიციალური გამოსაცდელი ფრენა დღეისთვის იყო დანიშნული, მაგრამ გადადეს, რადგანაც ქარიანი ამინდი დადგა.

## რუსეთი

**პეტერბურგი**. საკვირაო სკოლის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს არალეგალური კრება. შეიპყრეს ას კაცამდე. ამათში სახელმწიფო სათათბიროს წევრი (?)

**კოსტრომა**. ერთი კვირის განმავლობაში გუბერნიაში ხოლერით ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3 კაცი.

**ვოლოგდა**. ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა ერთი, გარდაიცვალა ერთი კაცი.

**პეტერბურგი**. სამხედრო-სასამართლომ გაარჩია საქმე გლეხ ბელოვისა, რომელსაც ბრალდებოდა თავდასხმა ქალაქის ლომბარდის კასის გამგე ქალზე 9 ნოემბერს. სასამართლომ ბელოვს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

**ლიბავა**. აღმოაჩინეს რევოლიუციონური ორგანიზაცია. შეიპყრეს რამდენიმე კაცი, აღმოაჩინეს საბუთების ქაღალდები.

**პეტერბურგი**. სახელმწიფო დაცვის სათათბიროს კომისიამ მოიწონა კანონპროექტი ჯარისკაცთა პენსიის დანიშვნის შესახებ. ახალი ხარჯების დასაფარავად კომისია მოწხრეა შემოღებულ იქმნას სამხედრო გადასახადი იმათზე, ვინც არ იხდის სამხედრო ბეგარას.

ქალაქში დღის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა ერთი, საავადმყოფოში იმყოფება 59 კაცი, ქალაქის ახლო უბნებში ავად არის ერთი.

**პეტერბურგი**. სახალხო განათლების სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში შეიტანა წესდების პროექტი ქალთა უმაღლეს განათლების ცოდნის გამოცდისა და აგრეთვე სამეცნიერო ხარისხისა და ქალთა გიმნაზიის მასწავლებლობის უფლების მიღებისა.

**პეტერბურგი**. ფოსტა-ტელეგრაფის მთავარი სამმართველო ამ ჟამად იხილავს საკითხს იმის შესახებ, რომ ქალაქის დეპეშებზე ფასი დაკლებული იქმნას. განზრახულია 20 პროც. შეამცირონ არსებული ნიხრი. ახალ ნიხრს მომავალ წლის დამდეგს წარუდგენენ სათათბიროს.

**ეკატერინოდარი**. დობრაია ბალკის მადაროებში სამმა შეიარაღებულმა კაცმა მოჰკლა გოროდოვოი.

**პეტერბურგი**. არალეგალურ კრებაზე შეპყრობილი სათათბიროს წევრი ვინაობის გამორკვევის შემდეგ განთავისუფლეს.

# სადგილ-მამულო საკითხი *)

**ფაქტები, მარტო ფაქტები...**

ბორჩალოს მაზრა გაიყიდა. თავ. ზაალ ბარათაშვილმა ამ რამდენიმე წლის წინად გადასცა თავისი მამული ვალში არამიანცს. გადასცა 35000 დესეტინამდე სახნავ-სათესი, მინდორი და მშვენიერი ტყე. როგორც გვესმის, ამ ადგილებში სახლდებიან ერევნის გუბერნიის მცხოვრებნი. აღარ ვიხსენიებთ სხვა მამულებს, ამაზე უფრო ადრე გაყიდულს. ამათი რიცხვი კი უთვალავია.

იყიდება დუშეთის მაზრა. სოფ. მუხრანში თავ. კონს. მუხრანსკიმ ამ თოთხმეტი წლის წინად სულ მცირე ფასად მიჰყიდა ბაუფლისწულო უწყებას 9000 დესეტინამდე საუკეთესო მამული. შარშან იმავე სოფელში თავ. გიორ. მუხრანსკიმ მიჰყიდა 600 დესეტინამდე გერმანელებს. წელს გერმანელები უკვე მართავენ ამ ადგილებში თავიანთ კოლონიებს. როგორც ხმა დადის, იქავე თავ. ლევ. მუხრანსკიც აპირებს გაყიდვას თავის მამულისას იმავე გერმანელებზე. თავ. ალ. მუხრანსკი ურიგდება რუსის გლეხებს და ჩქარა გადასცემს მათ თავის მდიდარს მამულს, სოფ. მუხლი-ჯვარში — 3000 დეს. აზნაურმა ყარანგოზიშვილებმაც იმავე მხარეში უკვე შეჰკრეს პირობები რუსეთიდან გადმოსულ გლეხებთან.

ჯერი მიდგა გორის მაზრაზე. ძმათა აბ. და ვას. კალატოზიშვილებმა კარგა ხანია მიჰყიდეს მთავრობის საგლეხო ბანკს 2000 დესეტინამდე საუკეთესო ადგილი მთელის გორის მაზრაში, მიჰყიდეს აგრეთვე იმ ბანკს ნ. მესხიშვილმა და თავ. დ. ამილახვარმა თავიანთი მამულები. ეხლა, როგორც გავიგეთ, თავ., თომა ციციშვილის ობლების აპეკუნები თურმე სცდილობენ აუარებელ მამულის გაყიდვას, რომელიც შეადგენს 20000 დესეტინას.

სიღნაღის მაზრაშიაც იწყება გაყიდვა მამულებისა. თავ. მ. ანდრონიკაშვილი (მაზრის წინამძღოლი) ელის თავის გლეხ-კაცების დეპუტაციას, რომელთაც უნდა შეისყიდონ 2000 დეს. სახნავ-სათესი და ტყიანი ადგილები. თუ ქართველები ვერ მოურიგდებიან და უარს იტყვიან, ეს მამული გადავა რუსის გლეხებზე, რომლითაგანაც ბევ 15000 მ. უკვე მიღებული აქვს. იქავე კნ. თამარ ანდრონიკაშვილს და თავ. ალ. და ნიკ. აბაშიძეებს სურთ გადასცენ თავიანთი მამული მოსულ გადმოსახლებულებს.

სხვა მაზრებში ჯერ-ჯერობით არა ისმის-რა, თუ არ ჩავთვლით იმ მემამულეებს, რომელნიც ჩუმ-ჩუმად ლიკვიდაციას უშვრებიან და გადააქვთ სხვის ხელში მამული. აი ასეთია ფაქტები... ამ რიგად, იყიდება ნაწილ-ნაწილად ქართველ ხალხის ტერიტორია. ვინ არის მერე, ვინ ჰყიდის უცხოზე ერის სისხლს, სხეულს, რომლითაც იგი იკვებებოდა მთელი საუკუნოები, რომლის მოსაპოებლად დასჭირდა დიდი ბრძოლა? ეს არის ქართველი თავად-აზნაურობა. ის თავად აზნაურობა, რომელნიც თავის თავს წინამძღოლად სთვლის საქართველოს ყოველნაირ პატრიოტულ და კულტურულ საქმეში... ვიცით, თავს გაიმართლებენ: რევოლიუციამ და რევოლიუციონერებმა გაგვანადგურესო. ჩვენი გლეხკაცები არა ყიდულობენ ჩვენგან მამულს-ო. რევოლიუციის აგენტებმა ჩააგონეს გლეხკაცობას, მიწა მუქთად დაგრჩებათო. ჩვენი მამული-კი ვალით სავსეა, გაჭირვებაში ვართ ჩაცვივნულნი და ამისათვის ვყიდით იმაზე, ვინც პირველი შემოგვეჭრებაო და სხვა.

კარგი და პატიოსანი, ეგეც გავიგეთ, მაგრამ, ერთი ესა ბძანეთ, რა დამოკიდებულება აქვს თავ. ზ. ბარათაშვილის 35000 დესეტინის გაყიდვას რევოლიუციასთან? ამ მამულების გაფლანგვა, როგორც ვიცით, რევოლიუციის რამდენიმე წლის წინად მოხდა? თავადნი მუხრანსკები? სად იყო ჯერ რევოლიუცია, რომ ქართლის საუკეთესო მიწა-წყალი მოაშორეს საქართველოს? ან გაჭირვებაში იყვნენ და არიან მუხრანსკები? ძმები კალატოზიშვილნი? არც ხომ იმათ უჭირდათ და არც ვალში ეყიდებოდათ მამული? კახეთი, სადაც დიდიხანია უცხოებმა მრავალი მამული შეიძინეს? აქაც რევოლიუცია და აგიტატორები არიან დამნაშავენი? „გლეხ-კაცობა არა ყიდულობსო!" თქვენა გგონიათ, როგორც ადვილი იყო თქვენთვის გაფლანგვა, ისევე ადვილია გლეხ-კაცისთვის მამულის შეძენა?.. და რა გასაკვირველია, თუ ჩვენს შიშველტიტველს და გაუნათლებელ გლეხკაცს არ ძალუძს მიწის შეძენა ასე ერთბაშათ, უეცრად? განა ამაზე როდისმე უფიქრია ქართველს მემამულეს? არა, არასოდეს! იგი ფიქრობდა ყოველთვის მარტო თავის კეთილდღეობაზე. აგირავებდა ბანკებში ნაციონალურ სიმდიდრეს, იღებდა ფულს და დროს ტარებაში ჰფლანგავდა და ეხლა, როცა დადგა დრო, უნდა გაუსწორდეს თავის „პატრიოტულ საქმეებს", იგი მაგრა ლესავს თავის მახვილს, რათა ყველაფერი გადააბრალოს საწყალ გლეხ-კაცობას, რომ იგი არა ყიდულობს მისგან მიწას, ან კიდევ შეუფერებელ პირობებს უდებენ და სცდილობენ უპატრიოტობაც კი დასწამონ მას. არა, ბატონებო! არაფერი არ შესძინეთ თქვენს სოფელს, თქვენს ხალხს და სირცხვილია რომ ეხლა თქვენს დანაშაულობაში პასუხის მგებლად ხდით ქარ. გლეხ-კაცს. ხომ ეხლაც თქვენს დიდ საქველ-მოქმედო შესაწირავებში აღნიშნულია გლეხ-კაცთა საჭიროებისათვის მარტო „600 მ. სახალხო განათლებისათვის" და სხვა ამ გვარი.

დ. კახელი.

*) დაპირებისამებრ კვლავ ვბეჭდავთ კერძო წერილებს ამ საინტერესო საკითხის შესახებ. მოგვივიდა სხვა წერილებიც, რომლებსაც ამ დღეებში დავბეჭდავთ რედაქცია.

# შემოქმედი და გარემო

(კიდევ ჩემი ლექციის გამო)

ჩემს „მცირე განმარტებაში" („დროება" № 240) არჩილ ჯორჯაძის საპასუხოდ, სხვათა შორის, ვსწერდი:

მგოსანი და ეროვნული სხეული ორგანიულად არიან ერთი მეორესთან შეკავშირებულნი. უეჭველად მგოსანი ინდივიდუალობაა, და როგორც ამგვარი, განუმეორებელია, განსაკუთრებული, განცალკევებული: მას საკუთარი ბუნება აქვს, რომელიც სხვისგან არ გამოიყვანება და არც სხვად დაიყვანება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი არ არის მოწყვეტილი; პირიქით, იგი შეხვებულია მსოფლიოსთან და უხვდება თავის ბუნების გაშლა მსოფლიოს განუსაზღვრელს ფარგლებში. აქედან, მისი შემოქმედება ორი თვალსაზრისით უნდა იხილებოდეს: აბსოლუტურით და ისტორიულით. აბსოლუტური თვალსაზრისი ფაქტად აღნიშნავს მგოსნის ბუნების, მის ერთხელ მოვლენილს და განუმეორებელს ინდივიდუალობას; ისტორიული თვალსაზრისი მიზეზობრივ ხსნის, თუ რომელ განსაზღვრულ წრეში მჟღავნდებოდა (და არა იქმნებოდა) მისი ბუნება.

ბ-ნმა არჩილ ჯორჯაძემ მიიღო ჩემი განმარტება („დროება" № 247) იმის გასარკვევად, თუ რა უნდა მეთქვა მე ჩემს ლექციაში; ხოლო ვერ მომყვება მე აბსოლუტის ფარგალში, რომ აბსოლუტურის თვალსაზრისით განმარტოს პოეტის შემოქმედებითი ნიჭი. აქ იგი მეტაფიზიკის წინააღმდეგ გამოდის, — და რადგან ეს სხვა საკითხია, ამისათვის მის მიერ მოყვანილ საბუთებს სხვა დროს გავარჩევ. ეხლა კი არ შემიძლია ყურადღება არ მივაქციო ბ-ნ დ. უზნაძის საინტერესო წერილს („დროება" № 252 და 253), რომელიც შემოქმედისა და მის გარემოს ურთიერთობას ეხება.

ბ-ნი დ. უზნაძე არ უარჰყოფს მეტაფიზიკას, მაგრამ იგი არ ეთანხმება ჩემს შეხედულებას.

„რობაქის შეხედულება — სწერს იგი — ბოლოს და ბოლოს ფსიხიურ ცხოვრების გარემოსაგან დამოუკიდებლობაა, აზრთა და გრძნობათა გარეშე პირობათა საშუალებით განმარტება, ახსნა. რობაქიძის მოსაზრებით არსებობს გენიალური ადამიანი; მისი ფსიხიური სიმდიდრე ერთხელ და სამუდამოდ მოცემულია, ის თვით მისი ფსიხიკაა. მაგრამ იგი არ აშკარავდება, არ ობიექტდება, თუ მასზე გარემოს თვისებანი არ მოქმედებს. იგი მგვდარია, უმნიშვნელოა, არაა რაის მთქმელი. არსად არიან გენიალური აზრები, დიადი გრძნობები, შეუდრეკელი ნებანი, სანამ მასზე გარემო არ იმოქმედებს, სანამ მათ გარემო არ **გააღვიძებს** და თუ კი ისინი ჩვენთვის აშკარავდებიან, იღვიძებენ, ამას ჩვენ გარემოს უნდა ვუმადლოდეთ".

აი, ვითომ ჩემი აზრი დ. უზნაძის გადმოცემით. [illegible] ამგვარად: [illegible] რებული სუბსტანციალობა სულისა. „ნამდვილად კი — განაგრძობს დ. უზნაძე — ფსიხიკა აქტუალურია და არა სუბსტანციონალური, რაიც მხოლოდ გარეშე ბუნებაა, ვინაიდან ეს უკანასკნელი იგივეობის, ენერგიის იგივეობის პრინციპზეა დამყარებული. ფსიხიკა კი **შემოქმედების** პრინციპით ხასიათდება".

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ ბ-ნ უზნაძეს არა აქვს ნათელყოფილი, თუ რაში გამოიხატება იგი პრინციპი შემოქმედებისა: მის ახსნა-განმარტებას იგი მერმისათვის გადასდებს.[1] და სანამ დანაპირებს არ აასრულებს იგი, მანამდე მისი დებულება, რომ ფსიხიკა აქტუალურია და არა სუბსტანციონალური, დაუმტკიცებელ შეხედულებად ჩაითვლება. „ფსიხიკა სუბსტანციონალურია და აქტუალური მხოლოდ რაიმე ზეგავლენით ხდება", — აი, ვითომ ჩემი აზრი ბ-ნ უზნაძის გადმოცემით. ნამდვილად-კი ჩემი აზრი სულ სხვაა, — და სწორედ აქ იმალება იმისი მიზეზი, თუ რად ჰგონია ბ-ნ უზნაძეს, ვითომ მე შემოქმედისა და გარემოს ურთიერთობაში პირველობას უკანასკნელს ვაძლევდე: ჩემის აზრით, სუბსტანცია **თვისგნითვე** ხდება აქტუალური და არა „რაიმეს ზეგავლენით"; სწორედ აქ იმალება საიდუმლოება შემოქმედებისა. თუ რად მჟღავნდება აქტში სუბსტანცია, ეს შორეული კითხვაა, რომლის განხილვას აქ მე ვერ შევუდგები. აქ განვიხილავ მხოლოდ შემოქმედისა და გარემოს ურთიერთობას ზოგად ფილოსოფიური მხრით.

გარემო ჩემთვის ფართო რამაა: იგი არ არის რაღაც მექანიურად „გარემდგომი", არამედ ცოცხალი სხეული, რომელშიაც ორგანიულად შედის ყოველი არსი და მასთან ყოველი შემოქმედი. ამ მხრივ გარემო თვითონ მსოფლიოა, რომელიც კერძო ინდივიდუალობის მიმართ დროისა და სივრცის საზღვრებში **გარემდგომი** გამოდის. ნათელვყოთ ეს დებულება. ავიღოთ მაგალითისათვის ადამიანის შეცნობა (Bewusstsein, Сознаніе) პირველი შეხედვით იგი არის პიროვანი, კერძო; ღრმა დაკვირვების შემდგომ იგი ყოვლადია, უნივერსალი. ადამიანის შეცნობა მსოფლიო ფუნქციაა კაცობრივის შეცნობისა, აზრი და სიტყვა სხეულებაა უნივერსალურის შეცნობისა; პირველიცა და მეორეც ჰგულისხმობს ადამიანთა ფსიხიურ ერთობას. და ეს ერთობა ის მოვლენაა, რომელიც ტრანსცენდენტალურ შეცნობად ისახება. ამას ნათლად ამტკიცებს სივრცისა და დროის მეტაფიზიური ბუნება (იხ. ჩემი ესკიზი „იდეა ნაციისა"). ყოველი სულიერი არსი გრძნეულია: სივრცის გრძნებით იგი არჩევს თავის „მეს" სხვა-და-სხვა საგანთაგან, დროის გრძნებით იგი საზღვრავს სხვა-და-სხვა მომენტებს თავის სულიერი მდგომარეობისა. თვითონ **გრძნეულება** კი (Sinnlichkeit, Чувственность) უნივერსალია, ყოვლადი, კერძოობისა და პიროვნულისაგან გამოუყვანელი. და ამ მხრივ სივრცე და დრო უნივერსალური ფორმებია კაცობრიულის გრძნეულებისა. ეს არის უკვდავი ნაყოფი კანტის ფილოსოფიისა: სივრცე და დრო იდეალური არიან. გარნა, **იდეალობა** სივრცისა და დროისა სრულებით არ ნიშნავს მათ **სუბიექტივობას**, როგორც ეს კანტს ეგონა, პირ-იქით, თუ სივრცე და დრო უნივერსალური ფორმებია გრძნეულებისა, მაშ ობიექტიურნიც უნდა იყვნენ ისინი. ასე თუ ისე, ადამიანის შეცნობა მსოფლიო ფუნქციაა ყოვლადის შეცნობისა. და სწორედ ამგვარი შეცნობა გვაძლევს ჩვენ შეძლებას შევიცნოთ ჩვენს გარემყოფნი არსებანი. სხვა არსის რეა-

1) ამ მოკლე ხანში გამოვა კრებული, სადაც დ. უზნაძის წერილიც იქნება მოთავსებული.

ობა ვერ შეიმცნევის რაციონალური გზით: ლოგიურის ცნებისაგან გამოიყვანება მხოლოდ გონებრივი პოტენცია და არა თვითონ ცხოველი და კონკრეტი სინამდვილე; მაგ., რაც უნდა ვიაზროთ, ტალერის აზრისაგან ნამდვილს ტალერს ვერასოდეს ვერ გამოვიყვანთ. სინამდვილე არასოდეს აზრად არ იქცევა: აზრი ყოველთვის სინამდვილეს ჰგულისხმობს, რომელიც არც ცნებად აიყვანება და არც სხვაფრივ წარმოიდგინება. აქ გნოსეოლოგიური პრობლემა ონტოლოგიურათ იქცევა. და თუ სინამდვილეს გარე შეუფ არსთა მაინც ვიმცნევთ ჩვენ, ეს მხოლოდ იმ მოვლენის საშუალებით ხდება, რომელსაც უნივერსალური შეცნობა ეწოდების, მსოფლიო შეცნობით ჩვენ ისევ შევიმცნევთ სხვათა რეალობას, როგორც ჩვენს საკუთარს სინამდვილეს ვიმცნევთ.

უნივერსალურის შეცნობის მაგალითი ნათლად არკვევს მას, რომ სულიერი არსი და გარემო ერთი მეორეს ორგანიულად ესხეულებიან და თავის განვითარებაში ცხოველსა და კონკრეტს მთელს წარმოადგენენ. არსი და გარემო ერთი მეორეს უპირისპირდებიან: აქედან, ისინი ერთი მეორისაგან განსხვავებულნი არიან. არსი და გარემო ერთი მეორეს ვერ გამოეყოფებიან: აქედან, ისინი ერთი მეორესთან განუყრელნი არიან, არც არსი არსებობს გარემოს გარეშე და არც გარემო არსის გარეშე. ამგვარსავე ურთიერთობაში არიან შემოქმედი და გარემო. **შემოქმედი ორგანიულად შედის მსოფლიოში და მის გარემოში შლის თავის ინდივიდუალობას.** ავიღოთ მაგალითი. ადამიანის სიტყვა სხეულებაა მსოფლიო შეცნობისა, და მაშასადამე, ყოვლადი, უნივერსალი. შემოქმედს იგი მზად ხვდება,—და რადგანაც შემოქმედის შეცნობა ორგანიულად შედის მსოფლიო შეცნობაში, ამისათვის იგიც თავისუფლად ხმარობს იმა სიტყვასა. ენა როგორც სულიერი ორგანო სრულებით გარემოს ეკუთვნის, და როდესაც რომელიმე შემოქმედი ამ ენით გამოსთქვამს თავის სულისთქმას, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მსოფლიოს გარემოში შლის თავის განუმეორებელ ბუნებას. შოთა რუსთაველს, მაგალითად, მზად ხვდება ქართული ენა, ქართველობის მიერ შექმნილი,—და იგი ხსნის მასში თავის მხატვრულ სახეობას.

ასეთია ურთიერთ-მიმოქცევა შემოქმედისა და გარემოსი. ხოლო იგი მიმოქცევა შემდგომ ანალიზში უფრო კონკრეტსა და ვიწრო ხასიათს იღებს. საქმე შემდეგშია. მსოფლიო არ განისაზღვრება მხოლოდ მით, რაც არის, არამედ იმითაც, რაც უნდა იყოს, რაც უნდა იქმნეს. და იგიც იქმნის: ვითარდება, სრულდება, ისტორიას განიცდის, ამ ქმნა და-გარდაქმნაში მისი განსაზღვრული საფეხური **ისტორიულ გარემოდ** იქცევა,—და შემოქმედიც, მის საზღვრებში მოვლენილი, „ისტორიულ" ამხილებს თავის ვინაობასა, რომელი ქმნილებაც გნებავთ, ის აიღეთ: თქვენ უთუოდ გამონახავთ მასში ისტორიულს მომენტს. ჰომიროსის პოემანი, დანტეს „ღვთაებრივი კომედია", შექსპირის დრამები, გიოტეს „ფაუსტი",—ყველა ესენი რამდენს, გარემოში შექმნილ ან ჩასახულ, ზრახვათ გვამცნევენ! მითი, ზღაპარი, ლეგენდა, რელიგიური ფიქრი და ლტოლვა, გარემოში ხალხის სულის მიერ შექმნილი, ხდება მძლავრ თემად ამ უკვდავ ქმნილებათა. ამით იხსნება ის საიდუმლო მოვლენა, რომ ორი ხალხი, ერთი მეორეს დროთა და სივრცით დაცილებული, სთხზავს თითქმის ერთსა და იმავე მითოლოგიას; აქვე იმალება ის გულისხმიერი მოვლენაც, რომ სხვა და სხვა შემოქმედნი ერთი მეორეს დამოუკიდებლათ ჰქმნიან ერთსა და იმავე მხატვრულს სახესა. ეს შეურყეველი ფაქტია ხალხთა ფსიხოლოგიის, რომელიც ნათელს ჰფენს უნივერსალურ შეცნობის მოვლენას. ერთი სიტყვით, შემოქმედი ორგანიულ შესხეულებულია გარემოს,—და, როგორც უნივერსალური შემცნობი, სწვდება მსოფლიოს, ითვისებს, თვისად ხდის მას, და შემდგომ, თითქო საკუთარიაო, მხატვრული სახით გამოხსნის და გაშლის მას. აქ იმალება ის საყურადღებო მოვლენა, რომ ლტოლვა, გარემოში ზრახული, შემოქმედის ბუნებაში სტიქიონად იქცევა; აქვე იხსნება დიონისიური აღმაფრენა, პოეტიური ექსტაზი, მქნე-ძალა ზეშთაგონება (იხ. ამის შესახებ დაწვრილებით ჩემ ლექციაში: „აკაკი წერეთელი და მისი პოეზია")..

მაგრამ აქ დამეკითხებიან: სადღაა შემოქმედი, ერთხელ მოვლენილი და განუმეორებელი, სადღაა გენიოსი, ისტორიულ საზღრების გარდამლახავი? ამ კითხვას დამშვიდებით შემიძლია მივუგო: შემომქმედი არსად არ დაკარგულა: იგი განუმეორებლად განსახიერებულა თავის ქმნილებაში. და აი ამნაირად, ყოველი შემოქმედი ინდივიდუალობაა, და როგორც ამგვარი, განუმეორებელი და განსაკუთრებული: იგი არც სხვით გამოიყვანების და არც სხვად დაიყვანება. და იგიც ასხამს თავის ინდივიდუალობას მხატვრულ ქმნილებაში. აიღეთ „ვეფხის ტყაოსანი", დააბნიეთ მისი ლექსი და გაფანტეთ მისი სიტყვები, აურიეთ ერთი მეორეში მხატვრული სახეები, აღმოსავლეთის მოტივები და ზრახვანი, და ეს აბნეული მასალა მიეცით სხვა მგოსანს; თქვენ დაინახავთ, რომ ვერც ერთი სხვა მგოსანი, რა გინდ ნიჭიერი იყოს იგი, ვერ მოგვცემს ქმნილების „ვეფხის ტყაოსანს", პიროვნულსა და განუმეორებელს, ხოლო მიეცით იგი მასალად შოთა რუსთაველს, და თქვენ მიიღებთ ჩვენს ნაცნობს „ვეფხის ტყაოსანსა". აშკარაა, შემოქმედი თავის „მხატვრულ პიროვნებას" თავის ქმნილებაში ჰკვეთს, — და აქ იგი განსაკუთრებულია, განცალკევებული, განუმეორებელი.

გარდა ამისა, შემომქმედი ისტორიულ საზღვრებშია მომწყვდეული, მაგრამ იგი გარდალახავს საზღვარსა და ერთვის უსაზღვროებას. როგორა ხდება ეს? როგორც აღვნიშნე, მსოფლიო ვითარდება, პროცესს განიცდის. ამ ვითარებაში ყოველი მისი საფეხური ისტორიული და წარმავალია. მაგრამ, მიუხედავად ამ წარმავლობისა, ამ საფეხურებს **სიმბოლიური სინამდვილე** აქვთ: ყოველი წარმავალ მოვლენა იდუმალ უჩვენებს და უთითებს დასრულებულ მთელისაკენ, მარადიულის მხრისაკენ. ეს მოვლენა შესანიშნავად აღნიშნა სიმბოლიზმის წინამორბედმა გიოტემ შემდეგ სიტყვებში: Pilles Vergänglihes ist nur ein gleichniss, ესე იგი, ყოველი წარმავალი, ხილული, რეალური, გვეჩვენება როგორც ფარული სახე. იდუმალი ნიშანი, რაღაც სხვა—ყოფისა, მარადიულისა. შემოქმედი იღებს წარმავალსა და მას სიმბოლოდ გვიჩვენებს. **სიმბოლო იდეას სხეულია**; ამას ამტკიცებენ: ნეოპლატონელი პლატონი და ახლო ხანებში რამდენიმეთ შოპენჰაუერი და ჰეგელი და განსაკუთრებით ვლ. სოლოვიოვი. **შემოქმედი წარმავალს იღებს, მაგრამ არა როგორც შემთხვევითს, არამედ როგორც სიმბოლიურ სინამდვილეს, და ამ სინამდვილეში იგი სახავს „იდეალურად-აუცილებელს".**

აი, მოკლედ მთელი ფილოსოფია შემოქმედებისა. ამ მხრივ პოეზია წინ უსწრობს ისტორიასა, ესე იგი, სიმბოლიურად წინ გვიჩვენებს იდეალურ სინამდვილეს, ჯერ კიდევ განუხორციელებელს (ქანდაკებით მშვენიერ ფორმებს, მუსიკით ჰარმონიულ ხმებს და სხ.),—და მართალად იტყოდა ბრძენი არისტოტელი: პოეზია უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე თვით ისტორიაო. შემოქმედი ჰქმნის წარმავალსა სიმბოლიურ სინამდვილედ,—და მით იგი დროულს საზღვრებს სცილდება და უახლოვდება მსოფლიო მარადისობას. და რამდენადაც ნიჭიერია იგი, იმდენად უფრო ყოველშემცველელია მისი ბუნება, ყოვლადი და უნივერსალი. გენიოსი ამ მხრივ მოპირდაპირე პოლიუსია: უკანასკნელიც ინდივიდუალობაა, როგორც გენიოსი; მაგრამ იმ დროს, როცა იდიოტი თავის განსაზღვრულებას ვერ სცილდება და ვერარას იგებს, გენიოსი გამოდის თავის პიროვნულ საზღვრებიდან და, მსოფლიოს გამსჭვირვალე, სცნობს იგი მის მრავალს საიდუმლოებას. გენიოსი არის მინდია (იხ. ჩემი გარჩევა „გველის მჭამელისა" ვაჟაფშაველას შესახებ ლექციაში). რომელსაც ესმის ყოველის სულისა და უსულოს ენა. და ადამიანის ტრაგიზმი სწორედ აქ იშვება. იგი თავის არსებით ორ სინამდვილეს ეკუთვნის: რეალურსა და იდეალურს. რეალური მას ვერ აკმაყოფილებს, იდეალური ჯერ არ განხორციელებულა. და ადამიანიც ისწრაფვის სძლიოს ეს წინააღმდეგობა, ხორციელ იხილოს იგი იდეალი. ადამიანი ვერ ასრულებს თავის წადილს, და იტანჯვის. აქ იბადება ტრაგიზმი ადამიანისა. მაგრამ იგი წინ უჭვრეტს იდეალს, მხატვრულ სახეში ჩამოსხმულს, სიმბოლიურ სინამდვილეს, და მით იქარვებს ტანჯვასა. აქ იშვება ტრაგედია, რომელიც, ხელოვნებაში გაყვანილი, თვით ტანჯვას სიამოვნებად აგრძნობებს ადამიანსა (ესტეტიური სიამოვნება). გარნა, რჩეულნი არ კმაყოფილდებიან: მათ უნდათ ჰჭვრეტა „საქმედ" აქციონ და ილტვიან კიდეც სხეულ ჰყონ სიმბოლო, აქციონ იგი ცხოველ რეალობად. აქ იბადება რელიგიური ლტოლვა და რელიგია...

აი, მოკლედ ორგანიული ურთიერთობა შემოქმედისა და გარემოსი. ეს ურთიერთობა ჰქმნის კონკრეტსა და ცხოველს უნივერსალურს პროცესს. ამ პროცესში შემოქმედი და გარემო არა თუ არ სცილდებიან, არამედ კიდეც უსხეულებიან ერთი მეორესა. ეს განმარტება ნათელსა ჰფენს მას, თუ რად არ შეგვიძლია დავეთანხმო არჩილ ჯორჯაძესა და დ. უზნაძეს ბარათაშვილის ლირის მთავარ მოტივის წარმოშობის საკითხში. როგორც ერთს ჩემს წერილში („იდეა ნაციისა") ვამტკიცებდი, ჩემთვის ეროვნება ონტოლოგიურ რეალობას წარმოადგენს: იგი სულიერი სხეულია. ამგვარ სხეულს წარმოადგენს ქართველობაც, რომელშიაც ბარათაშვილი ინდივიდუალურ მონადათ შედის. და ბარათაშვილიც გრძნობდა ამას: „ბედი ქართლისა"-ს შემქნელს სხვანაირი გრძნობა არ შეეძლო. მის სულის სიღრმეს ამოძრავებდა ქართველობის, როგორც სულიერ სხეულის, ყოფა-არყოფა (საზოგადოდ, და არა პოლიტიკურად); ეს პრობლემა მისივე პიროვნული პრობლემა იყო (იხ. ზემოდ ორგანიული ურთიერთობა შემოქმედისა და გარემოსი). ჯერ კერძო პიროვნების სიკვდილი ჰგვრის ადამიანს მსოფლიო ფიქრებს, და რა გასაკვირია, რომ ბარათაშვილის მუზას, მთელი ერის ყოფა-არ-ყოფით ვნებულს, მსოფლიო ფიქრებში შეეცურა. და მისცურავს კიდეც. იგი იღებს დროულს, წარმავალს მაგ. მტკვრის ბუტბუტს, და როგორც ნამდვილი ხელოვანი, რომელიც ზემოდ-მოყვანილ გიოტეს სიტყვას ახორციელებს, ბარათაშვილი ამ ბუტბუტს სიმბოლიურ სინამდვილედ აქცევს: რომანტიულ გრძნობით გარდალახავს საუკუნოებს (გრძნობა მარადისობისა) და სცნობს რა განსაზღვრულს წარმავალობას, მის ფიქრს მოიცავს განუსაზღვრელი მსოფლიო ამაოება. აქ მარხია საიდუმლოება ბარათაშვილის შემოქმედებისა. ბარათაშვილი სულიერ დრამაში დარჩა აბსოლუტ განმარტოვებული, „ობოლი სული" პანტეისტურად ერთვის სამყაროს „მერანის" ფრენილი გადაჭრით.

**გრიგოლ რობაქიძე.**

# მოწერილი ამბები

**თელავი.** თვეზე მეტია თელავზე აღარაფერი დაგვიწერია და არც არაფერი კარგია დასაწერი. იქ, სადაც გამეფებულია მარტოდ-მარტოდ პირადობა, კერძო ინტერესი მაღლა სდგას საზოგადოზე, ყუჩი და დროს ტარება სათაყვანებლად ჰაუხდიათ, თავისთავად ცხადია ყველა საზოგადო საქმე დახრჩილული იქნება, აკი თავდაპირველადვე ასე ყოფილა ჩვენ კურთხეულ თელავში, ასეა ეხლაც და შემდეგშიაც ასევე დარჩება. მართალია, როგორც უდაბნოში წყაროს, ჩვენშიაც შეჰხვდებით თითო ოროდა გულშემატკივარს, მაგრამ ესენიც თანაგრძნობასა და დახმარებას მოკლებულნი, ისეთსავე ცხოვრებაში ითქვიფებიან, როგორშიაც სხვები არიან.

ავიღოთ რა საქმეც გინდათ ბევრი რამ დაწყებულა თელავში, მაგრამ ბოლო არაფერს გასდევნებია. ჩამოთვლა მეტია, უკვე ცხადია, რომ ყველა საქმეში ან თანაგრძნობა არა ყოფილა ან და თვით მეთაურებში მომხდარა განხეთქილება, რადგან ყველას სდომებია თვის სახელის განდიდება.

ასე ჩვენი ცხოვრება მაშინ, როდესაც ადვილად შეიძლებოდა ბევრი, ძალიან ბევრი კარგი საქმე გაკეთებულიყო.

არ შემიძლიან ჩვენი დაწყებილებების ერთი მაგალითიც მაინც არ მოვიყვანო. ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების მეორე წლის თავზე, ჯერ ისევ ნორჩმა წ. კ. ს. თელავის განყოფილებამ მგოსნის პანაშვიდზე მოიწვია შუამთის მონასტრიდამ ალავერდის ეპისკოპოსის დავითი. პანაშვიდის შემდეგ განყოფილებამ უ—ს. დავითი სადილად მიიწვია და სამღვდელოებსაც სთხოვა, მაგრამ ჩვენდა გასაკვირვლად, ყველამ უარი გამოაცხადა, არავინ წასულა და რომ მოწვეული უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაგვეყენებინათ, რადგანაც სამღვდელო პირთაგან სადილზე არავინ იყო, დეკ. ხელაშვილი მოიპატიჟეს. ამის მიზეზად ჩვენმა სულიერმა მამებმა ისეთი საბუთი წამოაყენეს, რომ ვერც-კი ვბედავ იმის დასახელებას.

ასე ერთფეროვნად მიმდინარეობს ჩვენი პროვინციალური ცხოვრება, მაგრამ რუსთაველისა არ იყოს: „კარგი რამ გაჭირდეს, გიკვირდეს, აგი რა საკვირველია".

**დაიწყებული.**

—

**ბათუმში.** 15 ნოემბერს გადახდილ იქნა მეორმოცე დღის პანაშვიდი საზ. გადო მოღვაწის გრიგოლ გოლსკის სულის მოსახსენებლად. ხალხი საკმაოდ დაესწრო.

პანაშვიდის შემდეგ იგივე ხალხი და მრავალი სხვა, რომელიც ქალაქის თვით-მმართველობის შენობასთან იცდიდა, დაესწრო ლექციას. ლექცია „რა არის ერობა" დანიშნული იყო წარსულ კვირას, მაგრამ გადაუღებელ წვიმის გამო ამ კვირისთვის გადაიდო. ლექცია წაიკითხა ბ-ნმა გ. ჟურულმა, მშვენივრის მდაბიო ქართულით აგვიწერა ერობის ისტორია რუსეთში და მისი მნიშვნელობა ჩვენთვის. მრავალი სტატისტიკური ცნობა მოიყვანა იმის შესახებ, თუ რამდენს იხდიდა ერობა რუსეთში 30—40 წ. წინად, რამდენს იხდის დღეს და რას ვიხდით ჩვენ იმავე მიზნისთვის მაგრამ ჩვენ კეთილ დღეობის საქმე-კი არ ხმარდება ეს ჩვენი გადასახადი, რუსეთში,—ბძანა ლექტორმა, წინად 3 მილ. მანეთს იხდიდნენ, ახლა-კი 105 მილიონს იხდიან, მაგრამ ეს მათთვის საგრძნობელი არ არის, რადგან ხალხი ჰხედავს რომ მის მიერ გაღებული ფული მის კეთილ-დღეობასავე ხმარდება. ერთი დიდი შეცდომა კი არის რუსეთის ერობაშიო. რომ მცირე, ე. ი. ყოველ სოფლის ან რამდენიმე სოფლის ერობა არ არსებობსო.

ამავე დღეს მეორე ლექცია „ბოტანიკაზე" უნდა წაეკითხა ბ-ნ ნ. ადუნიაშვილს, მაგრამ რადგან გვიან იყო, შემდეგისათვის გადაიდო. ლექციას, როგორც ვთქვით მრავალი ხალხი დაესწრო. იყვნენ აგრეთვე აჭარლები.

**ტრ. ი—ძე.**

# კახელების საყურადღებოდ

შემთხვევით გავიარე ავლაბრის მოედანზე. შემხვდა ნაცნობი კახელი. შემომჩივლა: ღვინო ჩამოვიტანეთ, გვეგონა აქ კარგ ფასში გავყიდდით, მაგრამ რიგიანი მყიდველი ვერ გვიშოვნია, რომ საქმეებს მალე მივშველებოდით და შინ დავბრუნებულიყავითო.

ღვინო დაუწყვიათ ავლაბარში იქ, სადაც საგარეჯოს დილიჟანსი დგება, ჩეკურაშვილის სარდაფში და ზოგსაც მახლობლად. მიდიან ჩარჩები. დილა-საღამო დადიან ვითომცდა ღვინის გასაშინჯად და ამ რიგად ქ. შნიკის წყალობით კარგად შექეიფიანებულნი, ბრუნდებიან თავიანთ სალებში. ნამდვილი მყიდველებს-კი არ უშვებენ; ეუბნევიან: კარგისა არ არის, ხელს არ მოგცემთო. ვისაც ჰსურს ყიდვა, თავათ ნახოს ღვინო და მოურიგდეს კიდეც, ამით ჩარჩებსაც აჰლაგმავენ და მოქანცულ გლეხებსაც ერთი-ორი გროში მეტი დარჩებათ.

კახელებს-კი ვურჩევ, ვისაც ღვინო არ მოსჰარბებია, კვლავ აღარ ჩამოიტანოს კარ და კარ სატარებლად და გასასყიდად ღვინო. მით უმეტეს, წელს ნაკლები მოსავალია და ადგილობრივ უფრო კარგ ფასში გაჰყიდიან. სარგებლობა აქ ჩამოტანით არაფერია, წვალება და ლოდინი კი დიდი.

**კაკიანთხეველი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ოპერები ქართულად.** როგორც გავიგეთ, ხელ-ახლა შემდგარა წრე, რომელსაც განუზრახავს დასდგას ქართულ ენაზე ოპერები. ორი წელიწადია ქართულად ოპერების დადგმა შესწყდა. ახლად შემდგარ წრეს განუზრახავს დასდგას მთელი რიგი ოპერებისა; პირველად დაიდგმება „სევილიელი დალაქი", „ფაუსტი" და სხვა; როლები პირველ ოპერაში უკვე განაწილებულია: როზინა—ქ-ნი კალანდაძისა, ბერტა—ბაქრაძისა, გრაფი ალმაკიკა—რჩეულიშვილი, დონბაზილიო—აგასი, დალაქი—ცხომელიძე, ფიორელო—ფიჩხული და სხვა. რეპეტიციები ამ ოპერისა უკვე დაიწყო. ოპერა დაიდგმება ამ თვის ბოლოში.

—

**სახალხო წარმოდგენა.** იმ უთანხმოების გამო, რომელიც სახალხო თეატრის გარშემო მოხდა, ქართულ სახალხო წარმოდგენების საქმეს შეფერხება მოელის. საქმე იმაშია, რომ შაბათს, 21 ნოემბერს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში საღამოთი უნივერსიტეტის სექციის სცენის მოყვარენი ადგენენ დრამას „ციმბირელს". ამავე დღეს და ამავე დროისთვის დანიშნულია წარმოდგენა სახალხო წრის სცენის მოყვარეთა. წარმოსადგენად დანიშნულია სუმბათაშვილის „ღალატი".

# ბიბლიოგრაფია

**(მეთოდიური ლექსიკონი, ა. სულხანიშვილისა)**

მეთოდიურ ლექსიკონის ავტორი ა. სულხანიშვილი არის მამა ქართ. ფილარმონიულ საზოგადოების თავმჯდომარედ ნამყოფის განსვენებულის ი. ა. სულხანიშვილისა. როგორც ამ უკანასკნელისაგან გამიგონია, სულხანიანთ ძველი მე-17 საუკუნეში გადმოსახლებულა რაჭიდან და დასახლებულა სოფ. მეტეხში. ამათ გვარის ერთ ძველ ნასყიდობის წიგნში და სიგელში მოხსენებულია სულხანიანთ წარმომადგენელი, ვინმე მოძღვართმოძღვარი მეტეხის დეკანოზი იასე. სიგელი დაწერილია ძველ მოლურჯო ეტრადის მაგვარ ქაღალდზე და ეკუთვნის, თუ არა ვცდები მეფე ირაკლის დროს. ასე მგონია იმიტომ, რომ ამავე სიგელეში და ბოლო სწერია: მეფის ბრძანებისამებრ ბატონიშვილმა გიორგიმ გაუნაწილა სულხანიშვილებს მამულები ნასყიდი მატინაანთ 3 პასშვილი ოსეფასაგან". რუსის მთავრობას ეს ქაღალდი მოუკითხია დასამტკიცებლად 1817 წ. ხოლო დაწერილია, როგორც სიგელიდანა ჩანს, მარტის ივ-სა ქორონიკონსა უოზ. ე. ი. 1789 წ.

თვით ავტორი ლექსიკონისა ა. სულხანიშვილი პირველად მასწავლებლად ყოფილა სასულ. სემინარიაში. შემდეგ საინტენდანტო სამსახურში გადასულა. სამსახურის შესრულების შემდეგ პეტერბურგში უცხოვრია და სწორედ აქ შეუდგენია ეს ლექსიკონი. გარდაიცვალა 96 წლისა. ამ ლექსიკონს თავშივე აწერია: მეთოდიური ლექსიკონი ქართულ—ფრანციცულ—რუსული, მპყრობელი ლექსთა ყოველთა ნაწილთა სიტყვისათა, უმეტეს ხმარებულთა და განწყობილთა საგანთაებრ რიცხვით ვიდრე ოთხი ათასთა. ქმნილ არს საქართველოს მოსწავლეთათვის ტიტულიარნის სოვეტნიკის ა. სულხანოვის მიერ". ეგევე აწერია ფრანგულად და რუსულად და დაბეჭდილია სამეცნიერო აკადემიის სტამბაში 1839 წელს. თავში ლექსიკონს სხოლიო აქვს, სადაც ავტორი ამბობს: „ამ შემოკრებულ ლექსიკონსა შინა მოხსენებულ არიან მხოლოდ ლექსნი მარტივნი და საზოგადოდ ხმარებულნი". რაიცა შეეხება უცხო ენიდგან გადმოტანილ სახელებს მაგალითად: „სერტუკი", „ციგარი", „შოკოლათი" და სხვ. როგორ შემეტანა, რაიცა [illegible]ლებს არა ჰქონიათო. მერე კიდევ სწერს: „ლექსნი ტექნიკურნი და სხვანი, [illegible] ლესთა [illegible] ნა, არა არიან [illegible] თვის, რომელ იქნებოდნენ იგინი უსარგებლო ახალთ მოსწავლეთ ჰაბუკთათვის და ესე უკანასკნელნი დაიმძიმებდნენ მხოლოდ გულის ყურითა და დაჰკარგამდნენ დროთა ზეპირად სწავლისათვის წოდებათა, სრულებით მათ მიერ უცნობელთა ნივთთათა". მეექვსე გვერდზე სამივე ენაზე რიგზე ჩამოწერილია განყოფილებათა სათაურები ანუ სარჩევი, რომელსაც ავტორი „ზანდუკს" ეძახის.

სულ 86 განყოფილებაა ლექსიკონში და შეიცავს 115 გვერდს. მთელი ლექსიკონი ანბანის რიგზეა დაწყობილი, რადგან ძალიან ბევრ ნაწილებად არის დაყოფილი და ეს განყოფილებანიც არევით არის ნაწერი და არა რიგზე 67 გვერდამდე ცალკე სიტყვებია. ამ გვერდიდან კი იწყობა სიტყვათა ნაწილების ჩამოთვლა ასე: ლექსნი გრამმატიკისანი, ნაწილნი სიტყვათანი, რიცხვნი, წესებითნი, შემკრებელობითნი, განწილვითნი, მოქმედებანი და მდგომარეობანი, კავშირი, შორისდებული, სახელი, მწევრი, ზედშესრული, ნაცვალ-სახელი, ზმნა, სახელნი ფრიად სახმარნი, მამრთა და მდედრთანი. აქ ჩამოთვლილია ანბანის რიგზე საკუთარი სახელები ქალისა თუ ვაჟისა, სულ რიცხვით ას ოთხმოცდა თერთმეტი.

ამის შემდეგ 104 გვერდზე იწყობა პატარ პატარა ფრაზები, ლაპარაკის გასავარჯიშებლად, სასაუბროდ ისევ სამივე ენაზე. ასეთი სათაურით „სახენი ფრაზთა" სულ ორასზე მეტი ფრაზაა ათ პარაგრაფად გაყოფილი.

ამ ლექსიკონის ავტორის შვილმა განსვენებულმა ი. ა. სულხანიშვილმა გადმომცა ძველი ხელთნაწერი ლექსიკონის ავტორის: მიწერ-მოწერა ლევან დავითის ძის გურიელის მეუღლის სოფიო იოსების ასულთან, გრიგოლ გურიელთან, კნეინა მაკა წულუკიძესთან, დიმიტრი გურიელთან თავ. ყარამან თავდგირიძესთან და ამათგანაც მონაწერი პასუხად. მთელი მიწერ-მოწერა და საარშიყო წერილები გალექსილია, რომლებშიაც გულის ნადები და გრძნობანი საოცარის სიცხადით და ახალ-გაზრდულის გატაცებით არის აღწერილი.

**ზ. ი. ჩხიკვაძე.**

# უცხოეთი

**კრიტის საკითხი.** ვენის გაზეთების სიტყვით, სახელმწიფოებს შეუმუშავებიათ პასუხი იმ ნოტაზე, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ წარუდგინა მათ კრიტის საკითხის შესახებ. გაზეთების სიტყვით სახელმწიფოებს გადუწყვეტიათ კრეტაში დაარსონ მთავარი სასამართლო. აქამდის ყველა საკასაციო საჩივრებს ათინაში აგზავნიდნენ და ეხლა ოსმალეთის სურვილის თანახმად კრიტე დაშორდება ათინას—თვით კუნძულზე იქნება მთავარი სასამართლო, რომელიც საბოლოოდ გადასწყვეტს ყველა საჩივრებს.

**სპარსეთის საელჩო ბოლგარიაში.** განახლებულმა სპარსეთმა საელჩო დაარსა ბოლგარიაში. ბოლგარიის მთავრობა სიამოვნებით მიეგება სპარსეთის სურვილს, თანხმობა გამოაცხადა და დაამტკიცა კიდეც ელჩად ალა-მაჰმედი.

**სასკოლო ბრძოლა საფრანგეთში.** საფრანგეთის გაზეთებში ბევრი რამ იწერება სასკოლო ბრძოლის შესახებ. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ კლერიკალებმა და ეკლესიის მამებმა რა სასტიკი ომი გამოუცხადეს საფრანგეთის ეხლანდელ მთავრობას, რომელმაც მოისურვა სკოლიდან რელიგიური და კლერიკალური ბატონობის გამოდევნა. ყოველნაირ ხერხს მიჰმართეს კლერიკალებმა—თავიანთ პოზიციას გარეგნულად პროგრესიული ელფერი მისცეს. ამით მთავრობა და თავისუფალ სკოლის მომხრენი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ პოლიციური საშუალებით უნდებათ თავის მიზნის მიღწევა. ამას ხელზე იხვევენ კლერიკალები და ფართო აგიტაციასაც ეწევიან. ერთი გაზეთი სწერდა, უნდა გამოვარკვიოთ, საფრანგეთი დემოკრატიული სახელმწიფოა, თუ არა. თუ დემოკრატიულია, რა უფლება აქვს ერთ მუჭა სექტანტებსა და ფრანკმასონებს თავიანთი რწმენა ძალათ მოახვიონ თავზე მთელს ხალხს. ეხლა ეს გაზეთი გაიძახის, ჩვენ მომხრენი ვართ მედ-

სიისა და სკოლის თავისუფლებისათ. საფრანგეთის კონსტიტუციის ძირითად კანონებს ეს ჩვენი მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება, პირ-იქით კიდეც ამტკიცებს იმათთ.

სასკოლო ბრძოლა ერთი წელიწადია რაც ასე გამწვავდა. ბრძოლა ასე დაიწყო: ვიევილის მცხოვრებმა საჩივარი აღძრა ერთი მასწავლებლის წინააღმდეგ, რომ ის მოწაფეებს უქადაგებს სამშობლოს საწინააღმდეგო აზრებს, აძულებს სარწმუნოებას და ბევრ უზნეო აზრებს უნერგავს გულში. სასამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო მასწავლებელი. ამ დღიდან ასტყდა საჩივრების მიცემა. საჩივარი-საჩივარზე მიდიოდა მასწავლებლებზე. გაზეთებში დიდი კამათი იყო. თუ კლერიკალებს ჰქონდათ უფლება მოეთხოვათ მასწავლებლისათვის მოწაფეთათვის ის ესწავლებინათ, რაც იმათ სურთ, მაშინ რადიკალურ და სოციალისტურ ჯგუფებსაც შეეძლოთ ასეთივე მოთხოვნილება წარედგინა მასწავლებლისათვის. სკოლაში პოლიტიკა გაჩაღდებოდა, პარტიათა ბრძოლა გაჩაღდებოდა. ახალმა მთავრობამ ეს კარგად გაითვალისწინა და მტკიცედ გადასწყვიტა კლერიკალების იერიში თავიდან აეცილებინა საერო სკოლისათვის. ბრძოლა რო გაჩაღდა, კლერიკალებმა ვეღარ შესძლეს პროგრესიულ ტანისამოსით სიარული, აქ ნამდვილად გამოაშკარავეს თავიანთი სულისკვეთება—ფარდა აიხადეს და მთელი თავის სიშიშვლით წარუდგნენ ქვეყანას. ბრძოლა გამოუცხადეს „ღვთის მგმობელ რესპუბლიკას". ბრძოლა გაჩაღებულია—ჯერ საქმე არ გათავებულა, მაგრამ არავის ეჭვი არ ებადება საფრანგეთის ახალი მთავრობის სიმტკიცეში. ყველა მოუთმენლად ელის, როგორ დამთავრდება მასწავლებლებსა და ეპისკოპოსების საჩივარი.

**ბალკანეთის ფედერაცია.**

გარეშე საქმეთა სამინისტროს ცნობა მიუღია, რომ ოსმალეთისა ბოლგარიისა და სერბიის მთავრობის შუა მოლაპარაკებაა გამართული ბალკანეთის სახელმწიფოთა ფედერაციის დაარსების შესახებ. საბერძნეთსაც შეუძლიან მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღოს, თუ უარს იტყვის კრიტეს შეერთებაზე. როგორც იტყობინებიან საბერძნეთს უარი უთქვამს მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღებაზე. რუმინიაც კონვენციით არის შეკრული ავსტრიასთან და მოლაპარაკებაში მონაწილეობას ვერ იღებს. ფედერაციაში ჯერ ხნობით შევლენ: ოსმალეთი, ბოლგარია და სერბია. პლოტნიკაში მოხდარა კრება, სადაც დასწრებიან წარმომადგენელნი ოსმალეთისა, ბოლგარიისა და სერბიისა. მოულაპარაკნიათ ბალკანეთის ფედერაციაზე. ჩერნოგორიასაც სურვილი გამოუცხადებია ფედერაციაში შესვლაზე.

**ქურთების ბრბოთა თარეში.**

სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ ჩინგუსში ქურთების ბრბო თავს დაეცა სომხის ეპისკოპოზის სახლს. სომხებმა წინააღმდეგობა აღმოუჩინეს ქურთებს. გაჩაღდა ბრძოლა. ორივე მხრიდან მოკლულ იქმნა 20 კაცი.

**ახალგაზრდა ოსმალთა პარტია.**

სალონიკიდან დეპეშით ატყობინებენ გაზეთ „კასპის", რომ ახალგაზრდა ოსმალთა პარტიაში უთანხმოება მოხდარა. ტისიდენტები თხოულობენ ეროვნებათა თანასწორობას, ხოლო უმრავლესობა ისევ გერმანიასთან მეგობრულ პოლიტიკას ადგია.

## რუსეთი

✦ **სწავლება ადგილობრივ ენებზე.** მიწად-მოქმედების მთავარ სამართველოს შეუმუშავებია და ამ მოკლე ხანში შეიტანს სათათბიროში კანონ პროექტს, რომ პოლონეთისა და ბალტიის გუბერნიების სამეურნეო სასწავლებლებში სწავლება ადგილობრივ ენებზე სწარმოებდეს.

✦ **თვითგანვითარების წრეების აკრძალვა.** სახალხო განათლების სამინისტრომ აკრძალა საშუალო სასწავლებლების მოწაფეთა თვით განვითარების წრეები. მინისტრს მიუწერია სასწავლებლების უფროსებისათვის—თქვენი პირდაპირი მოვალეობაა ებრძოლოთ მოწაფეთა თვით-განვითარების წრეებს, რომელთა მეცადინეობა უმთავრესად კერძო ბინებში ხდება საიდუმლოდ და არა პანსიონებში.

✦ **ახალი განკარგულება სემინარიების შესახებ.** სინოდთან არსებულ სამოსწავლო კომიტეტს შეუმუშავებია ახალი ცირკულიარი სასულიერო სემინარიების შესახებ. სასულიერო მთავრობა ავალებს სემინარიის მთავრობას ფრთხილად ადევნონ თვალყური დისციპლინის დაცვას სემინარიაში, ამავე დროს უნდა ეცადონ სასმელ-საჭმლის გაუმჯობესებას, კვირა-უქმე დღეებში თეატრში წასვლის ნება მისცენ მოწაფეებს და არ აუკრძალონ წიგნების კითხვა ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკებიდან. ეპარქიალურ მთავრობათა მოხსენებებიდან სჩანს, რომ სემინარიის მოწაფეთა მღელვარების მთავარ მიზეზად ეთვალა შვარცის უკანასკნელი განკარგულება, რომ დითაც სემინარიელებს აეკრძალად უმაღლეს სასწავლებლებში შესვლა.

სემინარიის მოწაფეებში ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებამ. სასულიერო მთავრობა ალბად სერიოზულად დააფიქრა მოსწავლეთა მღელვარებამ, რომ საჭიროდ დაინახა ცირკულიარით მიემართა სემინარიის მთავრობისათვის.

✦ **გიმნასტიური საზოგადოებანი და მემარჯვენენი.** სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენე დეპუტატები და საზოგადოდ რეაქციონერები ძლიერ უკმაყოფილონი არიან იმით, რომ მთავრობამ ნება დართო სავარჯიშო საზოგადოებებსა და წრეებს. მემარჯვენეებში უფველთვის ეჭვის თვალით უცქერიან ყველა იმას, რაც იმათ ხელიდან არ გამოდის. ამ შემთხვევაშიაც ისინი გიმნასტიურ და სავარჯიშო საზოგადოებებს ეჭვით უცქერიან.—პოლიტიკური მიზნები აქვთ დასახულიო. რეაქციონერები კბილებს ილესავენ პეტერბურგის ერთ ასეთ საზოგადოებაზე. ახალგაზრდათა ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარების საზოგადოება „მაიაკი"-ს შესახებ მავრაზმელნი ფიქრობენ, რომ ეს საზოგადოება საზღვარ-გარეთის მასონთა საზოგადოების განყოფილებაა არისო. მემარჯვენეთა უყურადღებოდ არც ეგრედ წოდებული „მიმინოს" საზოგადოება გაურბის. „ჭეშმარიტ რუსთა" კავშირის ხალხს გადუწყვეტია გავლენა იქონიოს „მიმინოს" საზოგადოებაზე, ჩაუწეროს თავისი წევრები და ამით თავიდან აიცდინოს არა სასურველი მიმართულება.

✦ **მოსალოდნელი გაფიცვა ფინლიანდიაში.** „ნოვ. ვრემია" იტყობინება, ფინლიანდიაში საქმეები მეტად გართულდება, მოსალოდნელია რკინის გზაზე გაფიცვაც მოხდესო. ამის გამო გზათა სამინისტროს ყოველ შემთხვევისთვის განკარგულება მოუხდენია სათადარიგო შტატი შესდგეს, როგორც დაბალ, ისე რკინის გზის მაღალ მოსამსახურეებისა. ყველა რკინის გზებიდან უნდა გაიწვიონ მოსამსახურენი ამ შტატის შესადგენად. ამ მოსამსახურეებს ჯამაგირი ერთი ორად მიეცემა. ცირკულიარის ძალით ყველა მოსამსახურენი მართლმადიდებელნი უნდა იყვნენ.

✦ **განმანათლებელ დაწესებულებათა დახურვა.** პოლონეთში, ქ. პეტრაკოვოში დახურეს წერაკითხვის უცოდინართა კურსები. თითქმის 5 წელიწადს არსებობდა ეს დაწესებულება. ადგილობრივ მთავრობას ხელზე დაუხვევია ის გარემოება, რომ ამ ხუთი წლის წინად ნებართვა სკოლების ინსპექტორს მიუცია, ხოლო იმას კი უფლება არა ჰქონდათ.

## ბ. სვირელის წერილის გამო

(წერილი რედაქ. მიმართ)

„დროების" მე-255 ნომერში დაბეჭდილია ბ. სვირელის წერილი—„შესაწყნარებელია თუ არა"?

ბ. სვირელი ჩვენ ბრალს გვდებს ვითომ ჩვენ „მეგობრობა'" ვუწევდეთ მე ობარს, რაიცა მისი აზრით გამოიხატება იმაში, რომ ბ. ტოროშელიძის და მისი, სვირელის, მეგობრის წინააღმდეგ მიმართულ წერილებში ჩვენ ამოგვეშალოს მეგობრისათვის უხერხული ადგილები. ის სწერს:

პასუხი დავწერე და „მოამბის" რედაქციის გამგეს კატეგორიულად (სხვების თანადასწრებით) შემდეგ მოვახსენე: „ამ წერილიდან ერთის სიტყვის ამოშლასაც არ დავთანხმდები. ან უნაკლულოდ დაიბეჭდოს, ან სულ არა". დიდის ყოყმან-ვაჭრობისა და სხვის შეკითხვის შემდეგ ბ-ნი გამგე დამეთანხმა.

მაგრამ თ'ვენ წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როდესაც სამშაბათს კორექტურის კითხვის დროს შევნიშნე, რომ ბ-ნ გამგის წერილიდან მეგობრისათვის უხერხული ადგილები ამოეშალა!.. ვთხოვე მენტრანპაჟს, თუ შესაძლო იყო, არ დაებეჭდა წერილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი გამოდგა, რადგანაც მასალა დააკლდებოდათ და გაზეთი ვეღარ გამოვიდოდა. ამოშლილის აწყობა-დაბეჭდვაზე ურედაქტოროდ ხომ ლაპარაკიც ზედ-მეტი იქნებოდა.

მაგრამ, სამაგიეროდ, ბ. ს. ტოროშელიძის წერილიდან დაბეჭდა ზუსტად ის ადგილი, რომელიც ტ—მეს ამოშლილი ჰქონდა. და ამნაირად, ბატონებო, ჩემი წერილიდან მეგობრისათვის „უხერხული" (Неудобныя) ადგილები ამოშალა. სამაგიეროდ, ბ-ნ ტ—მის წერილიდან მეგობრისათვის „უდობნი", მაგრამ ბ-ნ ტ—მისაგან ამოშლილი ადგილები დაბეჭდა. ჩვენ დაბეჭდვას ვეხვეწებით, მაგრამ არ გვიბეჭდავს. ტ—მეს, პირიქით, „არ დაბეჭდავს" ეუბნება, მაგრამ ის მაინც ბეჭდავს. და ამავე დროს ბ-ნ მეგობარს საშუალება ეძლევა მოწინააღმდეგეთა წერილები ხელთ-ნაწერშივე იკითხოს და როგორც უნდა და როცა უნდა, ისეთი პასუხი დაბეჭდოს. საინტერესოა ვიცოდეთ, რითი დაიმსახურა ბ-ნ გამგისაგან მეგობარმა ასეთი გულ-ახაჩუყებელი მფარველობა?..

ჩვენ არ ვიცით რა ელაპარაკა ბ. სვირელი კორექტორს და მენტრანპაჟს; ვიცით მხოლოდ, რომ რაც ბ. სვირელმა ჩვენს შესახებ დასწერა, სინამდვილეს ეს არ ეთანხმება. აი საქმე როგორ იყო:

ბ. სვირელმა მოიტანა წერილი და გვთხოვა დაბეჭდვა შეუცვლელათ. წერილის წაკითხვის შემდეგ ჩვენ წინადადება მივეცით, რომ წერილის პირველი ნაწილი, რომელიც შეეხებოდა სახალხო თეატრის სახალხო უნივერსიტეტთან დაპირისპირებას, ცოტათი შეემოკლებინა, სამაგიეროთ, თუ სურდა წერილის მეორე-ნახევარს, გაეფართოვებინა, რომელიც სწორედ საკ მათო საგანს ეხებოდა პირდაპირ. ჩემი ასეთი წინადადების მოტივათ ის მოვიყვანე, რომ ამ ისტორიის შესახებ უკვე საკმაოთ ბევრი დაიწერა ყველა მოკამათეების მიერ-მეთქი. ბ. სვირელი დასთანხმდა, წაიღო წერილი და განაცხადა,—გადავხედავ და ვეცდები შევასწორო ო. ეს იყო და ეს. არავითარი „ვაჭრობა" აქ არ ყოფილა. იყო „ყოყმანი" მხოლოდ იმის შესახებ, რომ წერილის პირველი ნაწილის, ხსენებლად, ისტორიის შესახებ რჩევა მივეცით, რომ ერთ და იმავეზე წერა სხვა რამ არ იყოს, მკითხველს თავს აბეზრებს მეთქი. აი მთელი ის „ყოყმანი და ვაჭრობა" რომელზედაც ასე რიხიანათ სწერს ბ. სვირელი. წაღებული წერილი მხოლოდ კვირა დღეს მოს დაეტოვებია ჩემთვის შინაზე და საღამოს თვითონ ა. ქ—ძესთან ერთად შემოიარა და მითხრა, რომ შესწორება ვერ მოვახერხე და ასე უნდა დამიბეჭდოთო. მე შევპირდი, რომ რაკი ასეა, მ უხედავათ იმისა, რომ წერილის პირველი ნაწილი ერთი და იგივეს მრავალ გზით განმეორებაა, რაც უთუოთ მკითხველის გაბრაზებას გამოიწვევს, მაინც დავბეჭდავთ-თქვა. ორშაბათს ასაწყობათ მივეცით და სამშაბათის ნომერში (ორშაბათს გაზეთი არ გამოდის) კიდევაც დაიბეჭდა. კვირა საღამოს 7 საათზე მიღებული წერილი, ორშაბათს უკვე ავაწყეთ. სხვა საჩქარო მასალა გადავდევით და მისი წერილი დავსტამბეთ, რომ ამ რიგათ მისთვის განგაშის ატეხის საბაბი არ მოგვეცა, მარა ხომ გაგიგონიათ: „ავი კაცი აღდგომასაც ავიაო" და ასეთი კაცი გამოდგა ბ. სვირელიც.

ახლა ორიოდე სიტყვა წერილიდან ადგილების ამოშლის შესახებ. ბ. სვირელი ამბობს, რომ ვითომ ჩვენ მისი წერილიდან „მეგობრისათვის" უხერხული („неудобныя") ადგილები ამოვშალეთ, სამაგიეროთ, ბ. ტოროშელიძის წერილიდან მეგობრისათვის „უდობნი" ადგილები დავბეჭდეთ". ბ. ტოროშელიძეს წერილის შესახებ ქვევით ვიტყვით, ჯერ მხოლოთ ბ. სვირელის ცილისწამებას შევეხებით. სამართლიანობა და კითხვის ინტერესი მოითხოვდა, რომ ბ. სვირელს ამოშლილი ადგილები მოეყვანა და მით მკითხველისათვის დაემტკიცებინა რომ მე მართლა ამოვშალე მისი წერილიდან ისეთი ადგილები, რომელიც „მეგობრისათვის" неудобныя იყო. მისი წერილის ორიგინალი რედაქციაში ინახება და ამ წერილიდან ერთად ვურდგენთ „დროების" რედაქციას.*) მისი ვებერთალა წერილიდან ჩვენ ამოვშალეთ სულ რამდენიმე სტრიქონი. აი ეს სტრიქონებიც:

**„სექციაში მყოფი მუშების მოქმედება სავსებით ეწინააღმდეგებოდა ამ პრინციპს** (ეს პრინციპი მას განმარტებული აქვს ზევით ასე—უკეთუ რომელიმე პირი საქმისათვის გამოუდეგარია შრომისათვის არც სურვილი და არც უნარი არ მოეპოვება, საქმეს უნდა ჩამოშორდეს, რომ თავისი გულგრილობით და უყურადღებობით საქმეს ვნება არ მოუტანოს და სხვა.. რედ. ხელ.) **რაც გინდ ვირთ თუ მე მათ წინააღმდეგ წავედი. სამაგიეროთ, მე მინდოდა საქმისათვის გამოსადეგი მუშები შემეყვანა სექციაში. ამისათვის შესაფერი ზომაც მივიღე, მაგრამ ბედმა, უკაცრავათ, მოკავშირეებმა ჯვიმუხთლეს სარეორგანიზაციო კომისიაში სხვები აირჩიეს და ამიტომ ჩვენი გეგმა ვეღარ შევასრულეთ".**

აი ბატონებო რა ამოვშალე სვირელის წერილში ერთ ადგილას. თუ რამდენად „неудобный" იქნებოდა მეგობრისათვის ეს ადგილი, რომ დაბეჭდილიყო ამის გამოცნობა მკითხველისათვის მოგვინდვია. როგორც ხედავთ, მეგობრის წინააღმდეგ კი არ არის ეს ადგილი მიმართული, არამედ სექციაში მომუშავე მუშების და ჩვენც სწორეთ ამიტომ ამოვშალეთ, რომ შეუძლებლად დავინახეთ ნება მიგვეცა ბ. სვირელისათვის ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ასეთი დაუმსახურებელი ტალახი ესროლა სექციაში მომუშავე მუშებისათვის.

ახლა მეორე ამოშლილი ადგილი.

ამაში (ე. ი. მასალთან დაკვირებას, როგორც სვირელი ამბობს რედ. ხელ.) **ხელი შეგვიშალა და გვიშლის, სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ".**

აი სწორედ ეს ორი ადგილი ამოვიღეთ ბ. სვირელის წერილიდან. დანარჩენი ერთი ასოს ამოუღებლათ დავბეჭდეთ მეორე დღესვე, როგორც კი მივიღეთ დასაბეჭდათ გამზადებული.

ასეთია ბ. სვირელის სიმართლე, ვითომ ჩვენ მისი წერილიდან მეგობრისათვის „неудобныя" ადგილები ამოვშალეთ, მკითხველი ნათლათ ხედავს, რომ ამოშლილი სტრიქონები ერთ სიტყვასაც არ შეიცავს ისეთს, რომელიც მეგობრისათვის „неудобныя" იქნებოდა, რომ მისი ამოშლა მეგობრის მიკერძებით აიხსნას.

ახლა ბ. ტოროშელიძის წერილის შესახებ.

როცა წაიკითხეს ბ. ტოროშელიძის წერილი, ის ადგილი, სადაც ნათქვამია ცრუ მოწმეების მოყვანის შესახებ, კავებში ჩავსვით და რჩევა მივეცით, ეს ორი წინადადება, თვითონ თქვენთვის არ არის რიგიანი და ჩემის აზრით კარგი იქნება თუ ამოიღებთ მეთქი. ბ. ტოროშელიძემ განაცხადა — როგორც გინდათ. მე როგორც მინდა კი არა, — შე თვითონ როგორც გინდა. თუ გინდა სხვა სიტყვებით შესცვლე და ჩააწერე—მეთქი. შენ ჩააწერო.—მე შენს წერილში ჩემი ხელით არც ერთ სიტყვას არ ჩავაწერ და შენ თვითონ როგორც გსურს — გინდა ამოიღეთ სულ, გინდა შესცვალეთ, გინდ უცვლელათ დაიბეჭდოს თქვა. ბ. ტოროშელიძემ გადაპრილი არა-სთქვა რა, და ისევ თავის, წინადადება გაიმეორა: „როგორც გინდათ" და წავიდა. როგორც ხედავთ ბ. ტოროშელიძემ თავისი ხელით ამოსწერა სადაო წინადადება თავის წერილში და დასაბეჭდათ მოიტანა, მხოლოდ როცა მე ვურჩიე, რომ ეს წინადადება, სხვა არ იყოს რა უხერხულია მეთქი, მაშინ ც არ ისურვა მისი ამოღება და მევე მომენდო „როგორც გინდათ". ამ ლაპარაკს დაესწრო ჩვენი რედაქციის ერთი თანამშრომელთაგანი, რომელთაც თუ საჭირო იქნება დაამტკიცებს ყოველივე ამას. როგორ უნდა მოვქცეულიყავი მე? ამომეღო უნდა თუ არა? მე არ ვკისრე მარტომ ამ კითხვის გადაწყვეტა, რადგან ვიცოდი თუ როგორ დაიხვევდნენ შემდეგ ამას ხელზე და სარედაქციო კოლეგიას გადავეცი ამ წინადადების ამოღების თუ დატოვების საბოლოო გადაწყვეტა. სარედ ქციო კოლეგიამ დაადგინა, რაკი თვითონ ავტორმა არ წაშალა სადაო წინადადება, რომ საბაბი არ მიეცეთ —ვითომ მათ ნებას არ ვაძლევთ სავსებით გამოსთქვან თავი'ი აზრი—წერილი შეუმოკლებლად და უცვლელად დაიბეჭდოსო. ამ დადგენილების თანახმად ბ. ტოროშელიძის წერილი რედაქციაში მოტანიდან მეორე დღესავე დავბეჭდეთ.

ასე რომ, წერილის ეს ადგილი დაიბეჭდა სარედაქციო კოლეგიის დადგენილების თანახმად.

რაც შეეხება ბ. სვირელის საყვედურს, ვითომ მეგობარს საშუალება ეძლევა მოწინააღმდეგეთა წერილები ხელთ-ნაწერშივე იკითხოს და როგორც უნდა და როცა უნდა ისეთი პასუხი ბეჭდოს, ამის თქმა შეუძლია მხოლოდ ისეთს კაცს, რომელსაც რედაქციის არაფერი გაეგება. მეგობარი ისე დაახლოვებული თანამშრომელია ჩვენი გაზეთის, რომ მას საშუალება და უფლებაც აქვს, არამც თუ სვირელის ხელ-ნაწერი, არამედ სხვა ყველა ხელთნაწერიც წაიკითხოს აქ საძრახის რედაქციისათვის ჩვენ არას ვხედავთ და ეს ასეა ყველა რედაქციებში. ამის დასამტკიცებლად საკმარისია დავასახელოთ თუ გინდ ის ფაქტი, რომ გაზეთ „რეჩ"-ში ამ ახლო ხანში დაბეჭდილი იყო კერენსკის წერილი და იმავე ნომერში მილიუკოვის პასუხი. ცხადია, რედაქციამ კერენსკის ხელნაწერი სანამ დაიბეჭდებოდა, მილიუკოვს გადასცა, რომ პასუხი დაეწერა და ორივე ერთ ნომერში დაბეჭდა. ასე იქცევა ყველა რედაქცია, და ვიმეორებ, ვინც ანბანი კი იცის სარედაქციო საქმეებისა, მისთვის ეს ფაქტი არაფერს არა-ჩვეულებრივს არ შეიცავს.

**„მოამბის" რედ. ხელმძღვანელი.**

P. S. სვირელის უკანასკნელ წერილის დაბეჭდვა სარედაქციო კოლეგიამ შეუძლებლად დაინახა, იმიტომ რომ წერილი სავსე იყო ინსინუაციებით, ცილის-წამებით და თან შეუწყნარებელი კილოთი იყო დაწერილი. აქვე უნდა შევნიშნო, რომ „დროებ."-ში დაბეჭდილი წერილი ძალიან არ გავს იმ წერილს, რომელიც ჩვენს რედაქციაში იყო მოტანილი. ზოგი ადგილები მაგ. „ზიზღით შევხედები", „პროვოკაცია" და სხვა ასეთი სიტყვები, სულ ამოშლილია... **„მომ." ხელმძ.**

*) რედაქციამ შეამოწმა ხელთ-ნაწერი და ამოშლილი აღმოჩნდა მარტო ის ადგილები, რაც ამ წერილშია აღნიშნული. „დროებ." რედაქცია.


## განცხადებანი

**ყვირილაში**
„სორაპანის" წიგნის მაღაზიაში იყიდება
**აკაკის კრებული**
სრულის წლის კომპლექტი 1 მან. 50 კაპ. ვისაც სურს, შეუძლიან მიმართოს ყვირილაში „სორაპანის" წიგნის მაღაზიას. (5—6.—5)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—8

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. ქუთაისის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

პირველი კერძო სამკურნალო
[illegible]
[illegible]
ყოველ დღე, კვირების გარდა
დილით
ზ. ა. ნავახარდიანი: 11—12 ს. კონ... რგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბეიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აველიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ნ. ვ. ალბრეხტი: 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.
საღამოთი
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი ზ. ა. ნავახარდიანი
(წ.—1—219)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**29 ნოემბერს 1909 წ.**
გამოვა ქართულ ენაზე იუმორისტიული და ლიტერატურული ალმანახი
**„დიპლიპიტო"**
კარიკატურებით და სურათებით, ალმანახი დაბეჭდილი იქნება ფერადის სურათებით. ეღირება ყველგან ორ შაურად.
საჭიროა პროვინციიდან სანდო კორესპონდენტები, მასალის გამოგზავნა შეიძლება ახლავე შემდეგის ადრესით: Тифлисъ ред. „Закавказье" Э. Д. Горделадзе მასალა, რომელზედაც არ იქნება აღნიშნული ფასი, ჩაითვლება უფასოდ (3—3

**ზღაპრები**
**ქართლში, კახეთში და ფშავში**
შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ
დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ფასი 2 წიგნისა 1 მან. 50 კ. საწყობი იქვეა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, Обществу грамотности. (15—6)

გაზეთ „დროების" რედაქციის კანტორაში
**მიიღება ხელის მოწერა**
Bâton-ის წიგნზე:
**„ერი და კათოლიკობა, განხილულნი სოც. ოლოგიურის მხრით"**
დაახლოვებით 250—300 გვ. ✦ ხელის მომწერთათვის ფასი 60 კ. დაბეჭდვისა და გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება.
გამომცემელი მ. ხუციშვილი. (10—5)


Швейныя машины „Кайзеръ"

**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის**
**მაღაზია ქ. ქუთაისში.**
ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.
საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.
აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერმოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.
**ადრესი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.
(100—6—91)